ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 18 აგვისტო, 2016 №195 (7121) ფასი: 50 თეთრი

თურქული გადატრიალების ორგანიზატორი საქართველოში იმყოფება?

რას წერს თურქული მედია

გვ.2

18 აგვისტოდან

ნინო ხარატიშვილი

ჩემი საყვარელი ორეული

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ბიძინა ივანიშვილი გასაქცევად ემზადება“

გვ.3

რა კავშირი აქვს ბედუკაძის სკანდალს „ქართული ოცნების“ ლიდერთან

გია ბარამიძეს საარჩევნო შტაბი ჩაუხერგეს

გვ.2

ბესო დანელია: „ნაციონალებს გლდანში საარჩევნო კამპანიას არ ჩავატარებინებ“

ბიძინა გუჯაბიძე: „რუსული ძალა საქართველოში ვერ გაიმარჯვებს“

გვ.5

ლევან კობიაშვილს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვს?

გვ.2

რას ითხოვს ამირან გიგუაშვილი

თორნიკე შარაშენიძე: „რესპუბლიკელების ინიციატივაც და ბურჯანაძის იდეაც წინასაარჩევნო პიარია“

გვ.5

„კურსანტი პანიკაში ჩავარდა და ქანგბადი გაუთავდა“

გვ.4

რა მოხდა გონიოში

მიხეილ მაჭავარიანი: „უსუფაშვილის ინიციატივა ცუდად გათვლილი პიარნაბიჯია“

გვ.5

ISSN 1987-9385

გია ბარამიძეს საარჩევნო შტაბი ჩაუხერგეს

შორენა მარსაგიშვილი

ბესო დანელია: „ნაციონალებს გლდანში საარჩევნო კამპანიას არ ჩავატარებინებ“

რატომ დასჭირდა გია ბარამიძეს დაცვის გამოძახება, ვინ და რატომ აპირებს მისი საარჩევნო კამპანიის ჩაშლას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ბესო დანელია ესაუბრება.

ბესო დანელია:

გია ბარამიძემ, რომელსაც უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი, გადაწყვიტა მაჟორიტარ დეპუტატად იყაროს კენჭი. მან კანდიდატურა გლდანი-მუხიანის უბანზე დააყენა. ის იქ აპირებს დეპუტატობის მანდატის მოპოვებას, სადაც უამრავი ადამიანი გააუბედურეს. ბევრი დაიჭირეს. ეს ის უბანია, სადაც გია ბარამიძემ, შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს, ეკლესიის დარბევის სპეცოპერაცია ჩაატარა.

მე ამ უბანში ვარ და უბნელები ყოველთვის ჩემ გვერდით იდგნენ. მოგეხსენებათ, მე ნაციონალების ოპოზიცია ვიყავი. ჩემი მხარდაჭერის გამო, ნახევარი უბანი პოლიტპატიმრად აქციეს, ნახევარი კი დაინვალიდეს.

ბარამიძე იყო და არის ნაციონალების ლიდერი. მე და ჩემს მეგობრებს მიგვაჩნია, რომ ასეთ ადამიანს არა აქვს უფლება, ამ უბანში კენჭი იყაროს. ამიტომაც ჩავხერგეთ მისი ოფისის მისასვლელი გზა მანქანებით. ეს მაშინ გავაკეთეთ, როცა ის ოფისში შესვლას აპირებდა.

ეს ადამიანი იმდენად გათავხედდა, რომ უბანში ოფისი გახსნა და მოსახლეობასთანაც კი აპირებს შეხვედრებს. ჩვენ მას ამაში ყველანაირად შევუშლით ხელს. უნდა იცოდეს, რომ ისე აღარ იქნება, როგორც ეს 16 აგვისტოს მოხდა. ამ დღეს სიტუაცია მხოლოდ იმიტომ აღარ გავამწვავეთ, რომ პირველი დღე იყო.

– გამოდის, რომ შეძლო ბარამიძემ ოფისში შესვლა.

– როცა ნახა, რომ იქაურობა მანქანებით იყო ჩახერგილი, პარტიაში დარეკა, საიდანაც ზონდერები და დაცვა გამოუგზავნეს. ბარამიძე ოფისში კუნთმაგარი ხალხის დახმარებით შევიდა. ადამიანმა, რომელიც ამომრჩეველთან დაცვის გარეშე ვერ მიდის, როგორ უნდა იყაროს კენჭი, არ მესმის. იცოდეს ყველამ და მათ შორის ხელისუფლებამაც, რომ ნაციონალებს ამ უბანში ხელს ყველანაირად შევუშლით.

– დეპუტატობის კანდიდატისთვის ხელის შეშლა დანაშაულად არ ჩაითვლება?

– იმაზე დიდი დანაშაული არ იქნება, ვიდრე ნაციონალების მონაწილეობა არჩევნებში. ეს თავიდან ბოლომდე ხელისუფლების ბრალია.

2011 წლის 21 მაისს სახალხო კრებამ თბილისში აქციები დაიწყო. ამ აქციაზე ჩემს ოჯახთან ერთად მივდიოდი. თავს 20-მდე პოლიციელი დაგვესხა. სასტიკად გამისწორდნენ. ფეხთან კოჭი 3 ადგილზე მქონდა გადატეხილი და 2 მალა გატეხილი. რამდენიმე თვე ლოგინიდან ვერ ვდგებოდი. ფიზიკურად გაუსწორდნენ ჩემი ოჯახის წევრებსაც.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მეც დამიბარეს პროკურატურაში და დამკითხეს. დაკითხვა 6 საათის მანძილზე გაგრძელდა.

– დააკავეს დამნაშავეები?

– რა დააკავეს? რამდენიმე მათგანი დააწინაურეს. ხელისუფლებამ სამართალი არ აღადგინა. აქედან გამომდინარე, მას არა აქვს იმის უფლება, რომ მე იმის გამო მისაყვედუროს, თუ ბარამიძეს წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებაში ხელს შევუშლი.

– იმ ოლქში, სადაც გია ბარამიძე იყრის კენჭს, თქვენი კანდიდატურაც არის წარდგენილი. მისთვის ხელის შეშლა თავად არ შეგიქმნით პრობლემებს კამპანიის წარმოებაში?

– ეს ხელს არ შემიშლის. სხვა კონკურენტებისთვისაც შევძლებ წინააღმდეგობის გაწევას. ჩვენი მთავარი მიზანი „ოცნების“ და ნაციონალების დამარცხებაა.

– „ოცნებიდან“ ვინ არის ამ უბანზე მაჟორიტარობის კანდიდატი?

– ლევან კობერიძე. ამ ადამიანს ვიცნობ და მასთან პიროვნულად პრეტენზიები არა მაქვს. ის არ არის ამ უბნიდან და არჩევნებში გაუჭირდება. ბარამიძეს კი, ისევე როგორც სხვა ბევრ ნაციონალს, არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვს.

ლევან კობიაშვილს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვს?

რას ითხოვს ამირან გიგუაშვილი

პარტია „ირაკლი ალასანია თავისუფალი დემოკრატები“-ს გლდანის 21-ე საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ამირან გიგუაშვილი, აღნიშნულ ოლქში ქართული ოცნების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს ლევან კობიაშვილს მოუწოდებს, სამართლიანი თამაშის წესები პოლიტიკაშიც დაიცვას და საჯარო გახადოს ინფორმაცია იმის შესახებ, ცხოვრობდა თუ არა იგი მუდმივად ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში.

– ლევან კობიაშვილი მთელი სპორტული კარიერის მანძილზე და შემდეგაც ოჯახთან ერთად გერმანიაში ცხოვრობდა. ის საქართველოში შარშან, ოქტომბრის თვეში დაბრუნდა, რათა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში მიეღო მონაწილეობა. ამიტომაც მნიშვნელოვანია საზოგადოებამ იცოდეს, აქვს თუ არა მას საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ვინაიდან კანონით პასიური უფლებით სარგებლობს ის პირი, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობს საქართველოში ან დგას საკონსულო აღრიცხვაზე რომელიმე უცხო ქვეყანაში, – აცხადებს ამირან გიგუაშვილი.

მისი განმარტებით, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 111-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე. ამიტომ, როდესაც არსებობს კითხვები დეპუტატობის კანდიდატთან დაკავშირებით, მან ამ შეკითხვებს საჯაროდ უნდა გასცეს პასუხი.

– ჩვენ კარგად გვახსოვს „ოცნების“ ხელისუფლების ორმაგი სტანდარტები სხვადასხვა კანდიდატებთან მიმართებაში ადგილობრივი არჩევნებისას, როდესაც სახელისუფლებო კანდიდატს მიეცა უფლება, მონაწილეობა მიეღო არჩევნებში, ხოლო სხვა კანდიდატს ამის საშუალება არ მისცეს, – აღნიშნავს ბ-ნი გიგუაშვილი.

თავისუფალი დემოკრატები აპირებენ გამოითხოვონ ინფორმაცია შესაბამისი უწყებებიდან ლევან კობიაშვილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ბოლო ორი წლის განმავლობაში.

– ასევე მივმართავთ საარჩევნო ადმინისტრაციას, დაინტერესდეს ამ საკითხით. თუმცა, ვიდრე ჩვენ ამ ინფორმაციას მოვიპოვებთ, უმჯობესი იქნება, თავად ლევან კობიაშვილმა გახადოს საჯარო ინფორმაცია მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ბოლო ორი წლის განმავლობაში. მე იმედი მაქვს, რომ იგი, როგორც ყოფილი ფეხბურთელი, პოლიტიკურ მოედანზეც დაიცავს სამართლიანი თამაშის წესებს, – აცხადებს ამირან გიგუაშვილი.

თურქული გადატრიალების ორგანიზატორი საქართველოში იმყოფება?

რას წერს თურქული მედია

სამხედრო გადატრიალების მცდელობის ორგანიზებაში ეჭვმიტანილი თურქეთის ერთ-ერთი მოქალაქე, შესაძლოა, საქართველოში იმალებოდეს.

ამის შესახებ თურქული მედია იტყობინება.

როგორც გამოცემა დეილი საბაჰი წერს, საუბარია თურქეთის მოქალაქე ადილ ოკსუზზე, რომელიც, ხელისუფლების ცნობით, სამხედრო გადატრიალების მცდელობამდე უშუალოდ ფეთჰულა გიულენთან გადიოდა კონსულტაციებს და ამ მიზნით აშშ-შიც იმყოფებოდა.

გაზეთი წერს, რომ სწორედ ოკსუზმა, გიულენის თანხმობის შემდეგ, თურქ გენერლებთან ერთად, სამხედრო გადატრიალების გეგმა შეიმუშავა.

49 წლის ადილ ოკსუზი თურქეთის ქალაქ საკარიაში, თეოლოგიის ლექტორად მუშაობდა, სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ ის დააკავეს, თუმცა მალევე გაათავისუფლეს, რის შემდეგაც საზღვარგარეთ გაიქცა.

ოკსუზზე ამჟამად ძებნაა გამოცხადებული. თურქმა სამართალდამცველებმა დააკავეს ყველა ის პირი, რომელმაც, მათი ვარაუდით, ოკსუზს ქვეყნიდან გაქცევაში დახმარება გაუწია.

დეილი საბაჰის ცნობით, თურქული მედიასაშუალებების ნაწილი იტყობინება, რომ ადილ ოკსუზი შესაძლოა საქართველოში იმყოფებოდეს. ჟურნალისტების ნაწილის მტკიცებით, საქართველოში ასევე იმყოფება თურქეთში ცნობილი პროკურორი, ვინმე ზაქარია ოზი, რომელიც გიულენთან კავშირშია ეჭვმიტანილი და საშშობლოდან მას შემდეგ გაიქცა, რაც მიმდინარე წლის დასაწყისში ძალოვანმა უწყებამ მისი დაკავების ორდერი გასცა.

სოციალურ ქსელებში ზოგიერთი მომხმარებელი იმასაც წერს, რომ ოკსუზი და ოზი ერთად ნახეს ერთ-ერთ ქართულ რესტორანში, თუმცა თურქეთის ხელისუფლებას აღნიშნული ინფორმაცია ამ დრომდე არ დაუდასტურებია.

მიუხედავად ამისა, რამდენიმე დღის წინ, როდესაც თურქულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ორივე მათგანი საქართველოში დააკავეს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ განცხადება გააკეთა. მან განაცხადა, რომ აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, თუმცა იქვე დასძინა, რომ თურქულ მხარეს ამ საკითხზე საქართველოს ხელისუფლებასთან მჭიდრო კონტაქტი აქვს.

დეილი საბაჰის ცნობით, უახლოეს მომავალში ადილ ოკსუზზე, სავარაუდოდ, საერთაშორისო ძებნას გამოაცხადებენ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მურმან დუმბაძე: „ბიძინა ივანიშვილი გასაქცევად ემზადება“

შორენა მარსაგიშვილი



რა კავშირი აქვს ბედუკაძის სკანდალს „ქართული ოცნების“ ლიდერთან

რატომ ემუქრება ლადო ბედუკაძე „ქართულ ოცნებას“, რის გადაფარვას ცდილობს ხელისუფლება მისი ლანძღვით, ვინ მართავს აჭარას და რას გეგმავს ბიძინა ივანიშვილი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე ესაუბრება.

– მთელი „ქართული ოცნება“ დღეს ლადო ბედუკაძეს ლანძღავს, იმ ლადო ბედუკაძეს, რომლის კადრებითაც მან არჩევნები მოიგო. რაშია საქმე?

– ლადო ბედუკაძეზე ამხელა ყურადღების გამახვილება არ ღირს. „ქართულმა ოცნებამ“ მის შესახებ ყველაფერი იცოდა, მაგრამ აქამდე ხმა არ ამოუღიათ. ახლა მისი ლანძღვა მხოლოდ იმიტომ დაიწყეს, რომ სხვა რამე გადაფარონ. სხვა შემთხვევაში სახელისუფლებო პარტია იმ ცნობილ და სკანდალურ რეკლამაზე ყურადღებასაც კი არ გაამახვილებდა.

– რისი გადაფარვა უნდათ?

– ლადო ბედუკაძემ განაცხადა, უფრო სწორად, წამოსცდა, რომ მისთვის მთავარი ბიძინა ივანიშვილის პოზიცია იქნება. ახლა „ოცნება“ ყველაფერს აკეთებს იმის დასამტკიცებლად, რომ მათ ბედუკაძესთან კავშირი არა აქვთ. ეს ლანძღვა მხოლოდ ამ მიზანს ისახავს.

– გია ვოლსკი ამბობს, ბედუკაძე ნაძირალაა და ციხეში უნდა იყოსო.

– გია ვოლსკის მთელი 4 წლის მანძილზე საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა იმისთვის, რომ ეს მოთხოვნა დაეყენებინა. სხვების მსგავსად, მანაც კარგად იცოდა, რასაც წარმოადგენდა ლადო ბედუკაძე.

– ბედუკაძე „ოცნებას“ უმადურებად მოიხსენიებს და მათ რაღაც ინფორმაციის გასაჯაროებით ემუქრება. რა ინფორმაციაზეა საუბარი?

– ვერ გეტყვით. მე ბედუკაძესთან არასდროს მქონია ახლო ურთიერთობა. ამ წლების მანძილზე მას და „ოცნებას“ ერთმანეთი ცუდად არასდროს უხსენებიათ. ახლა სხვანაირად არის საქმე. ბედუკაძე ლანძღავს „ოცნებას“, მაგრამ იქვე ხაზგასმულად აქებს ივანიშვილს. ეს საეჭვოა.

– საეჭვო რატომ არის?

– იმიტომ, რომ „ოცნება“ ბიძინა ივანიშვილია, ივანიშვილის წინააღმდეგ კი ბედუკაძე არავითარ შემთხვევაში არ წავა.

– რატომ არ წავა, ივანიშვილი მფარველობს მას?

– მფარველობით არ მფარველობს, მაგრამ ივანიშვილს უნდა უმადლოდეს, რომ ციხეში არ არის ახლა. ივანიშვილის პოლიტიკის წყალობით გაბედა მან იმ კლიპის დამზადება, სადაც რუსულ პენსიაზე და რუსულ სახელდრო ბაზებზე იყო საუბარი.

– მოდით, ბედუკაძიდან აჭარის რეგიონში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატებზე გადავიდეთ. ბევრისთვის ეს კანდიდატები დიდ სიურპრიზად იქცა, თქვენ ელოდით ასეთ კანდიდატებს?

– კანდიდატები ჩემთვის დიდი სიურპრიზი არ ყოფილა, უკვე მიჩვეული ვარ, რომ ყოფილ ნაციონალებს აწინაურებენ. ამ მხრივ ნამდვილად გამორჩეულია მუხრან ვახტანგაძე. ის არის დიდი სპორტსმენი, მაგრამ ძალიან ცუდი მოქალაქე. ის დღეს ბათუმის ერთ-ერთ ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატია. ასლან აბაშიძის დროს ვახტანგაძე ხშირად არბევდა ოპოზიციის მიტინგებს. მეც არაერთხელ დავურბევივარ ამ ადამიანს.

მიტინგების დარბევა მან სააკაშვილის დროსაც გააგრძელა და, დარწმუნებული ვარ, ახლა უკვე „ოცნების“ მოწინააღმდეგეების აქციას დაარბევს. გასულ წელს, როცა გავიგე, რომ მისი დაწინაურება იგეგმებოდა, პარლამენტის ტრიბუნიდან გავაკეთე განცხადება და ვთქვი, რომ ეს კაცი მარბიელია.

„ქართულმა ოცნებამ“ ჩემი განცხადება ყურად არ იღო და ის დააწინაურეს, ახლახან კი მაჟორიტარად დასახელეს და პარლამენტში უპირებენ შეყვანას. მე ახლავე გაძლევთ გარანტიას, რომ მუხრან ვახტანგაძე პარლამენტში ვერ მოხვდება.

– რომ მოხვდეს?

– ეს ძალიან ცუდი იქნება „ქართული ოცნებისთვის“. ასეთი ხალხით თუ აპირებენ პარლამენტის შევსებას, გარწმუნებთ, რომ ქვეყანაში დიდი მღელვარება დაიწყება. თბილისში, რუსთაველზე შეიკრიბება 100.000 კაცი და პარლამენტს ამოსცხებენ პანღურს. მომდევნო არჩევნები, დიდი შანსია, რომ უკვე მომავალ წელს ჩატარდეს.

საზოგადოება ძირითად ყურადღებას პარლამენტის მაჟორიტარობის კანდიდატებზე აკეთებს. 8 ოქტომბერს აჭარაში პარალელურად უმაღლესი საბჭოს არჩევნები ტარდება. „ქართულმა ოცნებამ“ უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარებადაც საეჭვო ხალხი შეარჩია.

2012 წლის არჩევნების წინ, ამომრჩეველს 240-ჯერ შეეხვედი. ამ 240 შეხვედრიდან არ მახსენდება არც ერთი შემთხვევა, როცა ნაციონალებმა რაიმე პრობლემები შემიქმნეს. ასეთი შემთხვევა მხოლოდ ერთი იყო. ერთ-ერთ ტერიტორიულ უბანზე ერთმა ადამიანმა გამიწია წინააღმდეგობა. მან ბიძინა ივანიშვილს პირდაპირ შეაგინა, ხოლო მე ფულზე გაყიდული მიწოდა.

ეს ადამიანი 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა დააწინაურა და აჭარაში გარემოს დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშნა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ეს პიროვნება ირაკლი სესიაშვილის დეიდაშვილი ვახტანგ წულაძეა. ახლა ეს ადამიანი უმაღლეს საბჭოში იყრის „ოცნებიდან“ კენჭს.

არ შემიძლია არ გამოვყო ანზორ ბოლქვაძე, რომელიც ნაციონალებმა ორჯერ გაიყვანეს საქართველოს პარლამენტში. „ოცნების“ წარმოდგენილი კანდიდატებიდან ძალიან ბევრია ყოფილი ნაციონალი და მედროვე, რაც თე აღარ მიკვირს. ასეთი ადამიანების თავმოყრა ბიძინა ივანიშვილის სტილია.

– ივანიშვილს რაში სჭირდება ასეთი ხალხი?

– მას უყვარს მლიქვნელები და მშიშრები. „ოცნებაში“ ყოფნის დროს მე ამის გამოც დავუპირისპირდი ივანიშვილს.

– რატომ უნდა უყვარდეს ივანიშვილს მლიქვნელები და მშიშრები?

– იმიტომ, რომ ასეთი ხალხი მას უპირობო მორჩილებას უცხადებს. ახლაც „ოცნებამ“ მისი მითითებით მოძებნა ასეთი ხალხი. ასეთი გაუგებარი ხალხით ხელისუფლება სერიოზულ შედეგს ვერ დადებს და ისინი ძალიან სერიოზულ კონკურენციაში მოყვებიან.

არაპროფესიონალების და მედროვე-მლიქვნელების გარდა, ხელისუფლებამ ნამდვილი პროფესიონალებიც მონახა. ხელვაჩაურის რაიონში მაჟორიტარად არის წარდგენილი ჩემი და ჩემი ოჯახის მეგობარი ილია ნაკაშიძე. ის არის ერთ-ერთი ყველაზე მაგარი ექიმი. არ შეიძლება ასეთი წარმატებული ადამიანების გადინება მოხდეს პარლამენტში. როგორც უკვე გითხარით, ეს ადამიანი არის კარგი ექიმი, მაგრამ მეეჭვება, კარგი დეპუტატი იყოს. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ილია ნაკაშიძე პარლამენტში ვერ მოხვდეს.

– მეგობარსაც უპირებთ ხელის შეშლას?

– თუ პარლამენტში მოხვდა, დავკარგავთ ძალიან კარგ ექიმს და მივიღებთ ცუდ დეპუტატს. მე პატივს ვცემ ამ ადამიანს და ამიტომაც შევუშლი ხელს. ხელს ისეთ ადამიანებსაც შევუშლი, რომლებიც პოლიტიკაში მხოლოდ ანგარებით მოდიან.

ამ ადამიანების უმეტესობას სამშობლო მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდება. არადა სამშობლო ისეთი რაღაცაა, რომელიც საკუთარი სხეულის ნაწილივით უნდა გტკიოდეს, ამათ კი მხოლოდ არჩევნების წინ ასტკივდათ სამშობლო. ასეთი ადამიანების პარლამენტში მოყვანა არ შეიძლება.

თავის დროზე ზვიად გამსახურდია ტრიუმფალურად მოვიდა ხელისუფლების სათავეში. მისი გარემოცვის წყალობით, მას ერთ წელიწადში საქართველოდან მოუწია გაქცევა. ტრიუმფალურად მოვიდა ასლან აბაშიძეც და ისიც გაიქცა. 2003 წელს ტრიუმფით მოვიდა ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილი. მის გარშემოც ბევრმა შემთხვევითმა ადამიანმა მოიყარა თავი. დღეს ისიც გაქცეულია. მე არ მინდა, რომ იგივე მოხდეს ახლაც. სამწუხაროდ, ამის ნიშნები უკვე სახეზეა.

– რა ნიშნებზე საუბრობთ?

– ბიძინა ივანიშვილს უცნაური შეხედულება აქვს პარლამენტზე, იქ შესაყვან ხალხზე. საოცარ ადამიანებს აწინაურებს. უცნაური შეხედულებები აქვს ღირსებასა და უღირსობაზე. მის საკადრო პოლიტიკას რომ ვუყურებ, კიდევ ერთხელ მიმტკიცდება ეჭვი, რომ ის საქართველოდან გაქცევას აპირებს.

– საკადრო პოლიტიკასთან ის რა შუაშია, თანამდებობიდან 2013 წელს წავიდა.

– თანამდებობიდან წავიდა, მაგრამ ქვეყნის ოფიციალური და არაოფიციალური მმართველიც დღეს ეგ არის. მის გარეშე არანაირი გადაწყვეტილება არ მიიღება. მე მეტსაც გეტყვით, ქვეყნის მართვაში მისი ოჯახის წევრებიც აქტიურად მონაწილეობენ.

– კონკრეტულად ვინ მონაწილეობს?

– მისი ძმა. ის აკონტროლებს აჭარის რეგიონს. ამის შესახებ მე ბიძინა ივანიშვილს ჯერ კიდევ მაშინ ვესაუბრე, „ოცნებაში“ რომ ვიყავი. ივანიშვილი დამშირდა, გავერკვევიო, მაგრამ არაფერი გაურკვევია და აჭარის რეგიონს დღესაც მისი ძმა აკონტროლებს.

ბურჭულაძის პარტია 25-მა წევრმა დატოვა

მათ ბათუმის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებიც შეუერთდნენ

მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“ 25-მდე წევრმა დატოვა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პარტიის ნავთლუღის მე-10 საარჩევნო ოლქის შტაბის ყოფილმა უფროსმა იოსებ ხიმშიაშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, პარტიიდან წავიდნენ ის და მისი გუნდი, დაახლოებით 25 ადამიანი.

ხიმშიაშვილი პარტიის დატოვების რამდენიმე მიზეზს ასახელებს. მისი თქმით, ერთ-ერთი არის ის, რომ პარტია აწარმოებს კონსულტაციებს ახალ საქართველოსთან, გირჩთან და ნაციონალურ მოძრაობასთან გაერთიანებასთან დაკავშირებით, რაც მიუღებელია. ამასთან, ხიმშიაშვილი ფინანსურ პრობლემებსაც ასახელებს და აცხადებს, რომ 2 თვეა, ხელფასი არ გაცემულა.

– 2 თვის განმავლობაში ხელფასები არ დარიგებულა, ამ დროს კი ბურჭულაძე წასულია გერმანიაში საზაფხულო არდადეგებზე და მეუღლესთან ერთად 7-ვარსკვლავიან სასტუმროში ისვენებს, – აცხადებს ხიმშიაშვილი.

გუშინვე მომხდარზე კომენტარი ბურჭულაძის პარტიის წევრმა მერაბ მეტრეველმა გააკეთა.

– ვწუხვართ, რომ ჩვენი პარტიის რამდენიმე წევრს არ ეყო გამბედაობა და რწმენა, სუს-ის გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყო, – განაცხადა მან პრეს-კონფერენციაზე.

მეტრეველის თქმით, მიუხედავად ყველაფრისა, მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“ არის ერთიანი გუნდი.

– ყველაფერი დაიწყო იმით, რომ სუს-ის ერთ-ერთი გაზეთის და ხელისუფლების მიერ

ფორმირებული პიარ ჯგუფის მიერ მოხდა ბინძური შეტევა ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. მათი პირადი ძალისხმევით ჩვენს პოლიტიკურ ორგანიზაციას გადაეკეტა რამდენიმე ლეგალური საფინანსო არხი. თუმცა, ყველა არხის გადაკეტვა ვერ მოხერხდა, რადგან ვხედავთ, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც არ მოექცნენ ფინანსური და ფიზიკური წნეხის ქვეშ, – განაცხადა ბ-მა მეტრეველმა.

მან მიმართა მხარდამჭერებს და წევრებს.

– ჩვენ ვართ ძლიერი გუნდი, გამბედავი ადამიანები და მიუხედავად სუს-ის ძალისხმევისა, ჩვენ მოვიგებთ არჩევნებს. არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში პასუხი გაეცემა ყველა უკანონო ქმედებას, – განაცხადა მეტრეველმა.

◆ ◆ ◆

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“ ბრალდებებს პარტიის წევრებზე ზეწოლის შესახებ, არ ადასტურებენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებაში განუცხადეს, მსგავს ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

◆ ◆ ◆

გუშინ ბურჭულაძის პარტიის ირგვლივ განვითარებული მოვლენები ამით არ დასრულებულა. საღამოს ცნობილი გახდა, რომ პაატა ბურჭულაძის პარტია ბათუმის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებმაც დატოვეს.

განცხადება ახალგაზრდული ორგანიზაციის უკვე ყოფილმა თავმჯდომარემ გიგა ფარტენაძემ გუნდთან ერთად გაახმოვანა და პარტიის რიგების დატოვების მიზეზებზე ისაუბრა.

მისი თქმით, ბოლო პერიოდში უყურადღებოდ დარჩა მოძრაობის ახალგაზრდული აქტივი, რომელსაც ბოლო სამი თვეა მხოლოდ შიშველი ენთუზიაზმით უწევს პარტიული დავალების შესრულება. ეს იმ ფონზე ხდება, როცა პარტიულ ელიტას ძვირადღირებული ვოიაჟები აქვს ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.

გიგა ფარტენაძის თქმით, მოძრაობას არასწორი ტაქტიკური და სტრატეგიული გათვლები ჰქონდა, რის გამოც საზოგადოებრივ ინტერესზე კონცენტრირება ვერ შეძლო.

– ბოლო პერიოდში მოძრაობის გარშემო სულ უფრო მეტად ჩნდება პასუხგაუცემელი კითხვები საზოგადოებაში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვებს მათი საზოგადოებისათვის მიუღებელ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებში ალიანსში, – განაცხადა გიგა ფარტენაძემ.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

სოსო შატბერაშვილი: „მომავალი პარლამენტი ისევ სახელოვნებო-სპორტული იქნება“

„ქართული ოცნების“ მიერ დასახელებულმა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებმა საზოგადოებაში, უმეტესად, უკმაყოფილება და გაოცება გამოიწვიეს. მემარცხენე ალიანსის გენერალური მდივანი სოსო შატბერაშვილი „ახალი თაობისათვის“ მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ მიუხედავად ამისა, არჩევნებში გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი მმართველი პარტიის კანდიდატურებს აქვთ. ეს, ძირითადად, განპირობებულია ფინანსური შესაძლებლობებით, ასევე, პოპულარობის ფაქტორით.

მარიამ მჭედლიშვილი

სოსო შატბერაშვილი:

– პარტიული სისტემით „ქართული ოცნება“ უმრავლესობას ვერ იღებს. დღეისთვის არც ერთი პარტიის რეიტინგი არ აჭარბებს 30%-ს. თავად „ოცნებაც“ არ ამტკიცებს, რომ 35%-ზე მეტი რეიტინგი აქვს. „ოცნება“ უპირატესობას მოიპოვებს მაჟორიტარების ხარჯზე.

– მიუხედავად იმისა, რომ ამ კანდიდატურების უმეტესობა ხალხს არ მოსწონს?

– ეს კანდიდატურები მმართველი პარტიისაა. ჩემი გამოცდილებით ვიცი, რომ ასეთ კანდიდატურებს ან სხვები აფინანსებენ, ან ისინი თავად არიან ფულიანი ადამიანები. 15 წლის განმავლობაში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ვმონაწილეობდი არჩევნებში, მაგრამ ყოველთვის ვმარცხდებოდი ფულიანი კანდიდატების წინააღმდეგ ბრძოლაში.

– საზოგადოებას ბევრი კანდიდატის პროფესიონალიზმი არ მოეწონა.

– აქ ორგვარი მიდგომაა. ერთი მხრივ, ხელოვანები და სპორტსმენები ვერ არიან პროფესიონალები პარლამენტში. მათ არ შეუძლიათ კანონშემოქმედება, ბიუჯეტის შეფასება, მიკროფონთან გამოსვლა, ჟურნალისტებთან ურთიერთობა. მეორე მხრივ, სპორტისა და კულტურის მოყვარული მოქალაქეები არჩევნებში დიდი სიამოვნებით აძლევენ ხმას ცნობილ მსახიობებსა და სპორტსმენებს. გარდა ამისა, არსებობს ნაციონალური მოძრაობა. მაგალითისათვის, თავისი კანდიდატურა დააყენა გოგა ონიანმა. სავსებით მოსალოდნელია, რომ ამომრჩეველმა მხარი დაუჭიროს ონიანის მოწინააღმდეგე „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს და უარი უთხრას სახელგატეხილ ონიანს.

– ანუ ნაციონალური მოძრაობა ისევ ეხმარება „ქართულ ოცნებას“?

– აქ მახსენდება დათა თუთაშხიას სიტყვები, არ ვიცი, ვინ ხართ ეს სოციალ-დემოკრატები, მაგრამ მეფეს და პოლიციას ყველა ჯობიაო. ამ შემთხვევაშიც ასეა – ნაციონალურ მოძრაობას ყველა ჯობია.

– მომავალ პარლამენტშიც ბევრი სპორტსმენი იქნება?

– მომავალი პარლამენტიც სპორტულ-სახელოვნებო იქნება. შუალედური არჩევნებისას დავით უსუფაშვილმა ბიძინა ივანიშვილს სთხოვა, ამდენი მსახიობი აღარ გვინდა პარლამენტშიო. როგორც ჩანს, ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება.

– პარლამენტში, ალბათ, იურისტების სიმრავლე უნდა იყოს?

– პარლამენტში იურისტიც ბევრი უნდა იყოს და ეკონომისტიც. საჭიროა თითო-ოროლა დიპლომატი, ექიმი და ინჟინერი დარგობრივი და სხვა საკითხების განხილვისთვის.

– ეს იურისტები და ეკონომისტები პოლიტიკოსები არ უნდა იყვნენ?

– აუცილებლად უნდა იყვნენ პოლიტიკოსები, თორემ, იურისტები ნებისმიერ სანოტარო და საადვოკატო კანტორაში ბლომადაა. ყოფილა შემთხვევები, რომ მსახიობი და სპორტსმენი გამხდარა პოლიტიკოსი. ასეც ხდება, მაგრამ დღევანდელ პარლამენტში ასეთები არ ჩანან. ხალხის ნაწილში უკმაყოფილებაა დასახელებული კანდიდატურებით. მიუხედავად ამისა, „ოცნების“ წარმომადგენლები მაინც გაიმარჯვებენ. იქნება მეორე ტურები. საერთოდ, ძალიან საინტერესო და ცხელი შემოდგომა გველის.

„ცესკომ არჩევნებიდან უნდა მოხსნას ნაციონალური მოძრაობა“

– ადრე მემარცხენე ალიანსი ამზადებდა სარჩელს ნაციონალური მოძრაობის გასაუქმებლად. ახლა ცესკოს მიმართეთ ნაციონალების არჩევნებიდან მოხსნის მოთხოვნით. ამისკენ ცენტრისტების არჩევნებიდან მოხსნამ ხომ არ გიბიძგათ?

– დავიწყოთ სარჩელით. ამაზე უარი არ გვითქვამს. ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ იურიდიულ მტკიცებულებებს ვაგროვებთ. ეს ისეთი საქმეა, რომელიც პროკურატურასაც კი უჭირს. ჩვენ პოლიტიკური პარტია ვართ და მოწმეებს ადვილად ვერ ვიბარებთ. ბედუკაძის ცენტრისტების ამბის დეტალები არ ვიცი. ჩვენ ეს ნაკლებად გვაინტერესებს. ბედუკაძის არც მომხრე ვარ და არც მოწინააღმდეგე. ხაჩიშვილის მიმართ ნეგატიურად ვარ განწყობილი. მან თავისი მინისტრობის დროს დაანგრია შინაგან საქმეთა სამინისტრო.

რა იყო ცენტრისტების კლიპში და რა პროცედურები გაიარეს მათ, ამაზე სხვებმა იმსჯელონ. ნაციონალების არჩევნებიდან მოხსნა კი კანონმდებლობის, მათ შორის, კონსტიტუციის საფუძველზე მოვითხოვეთ. ეს არის პარტია, რომელიც მოქმედებს ერის ინტერესების წინააღმდეგ. ამის მაგალითია კოდორის, ახალგორის დათმობა, ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების, ჰესების გასხვისება და სხვა. ეს პარტია სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ ცდილობდა სისხლიანი პროცესების აგორებას რუსთავი 2-ის ეზოდან. ამიტომ, ცესკოდან ველით პასუხს.

„კურსანტი პანიკაში ჩავარდა და ჟანგბადი გაუთავდა“

რა მოხდა გონიოში

ორი დღის წინ სპეციალური ოპერაციების ძალების ორმა სამხედრო მოსამსახურემ – კაპრალმა იაგო შარაძემ და I კლასის რიგითმა გიორგი ნანეტაშვილმა, რომლებიც მებრძოლ-მყვინთავთა კურსს გადიოდნენ, საწვრთნელი ვარჯიშის დროს, ზღვაში სიღრმითი ჩაყვინთვის შემდეგ, ვერ შეძლეს ზღვის ზედაპირზე ამოსვლა.

გუშინ, 17 აგვისტოს, საქართველოს პრეზიდენტი გონიოში ჩავიდა. გიორგი მარგველაშვილი აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძესთან ერთად იმ ადგილზე მივიდა, სადაც ზღვაში დაკარგული ორი ქართველი ჯარისკაცის სამძებრო-სამაშველო ღონისძიება მიმდინარეობდა.

პრეზიდენტმა თავდაპირველად თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს საქმის ვითარება გამოჰკითხა, შემდეგ კი დაკარგული ჯარისკაცების ოჯახის წევრებს გაესაუბრა.

– მძიმე წუთებია ყველა სამხედროსთვის და მოვედი, რომ თანადგომა გამოვხატო, – განაცხადა პრეზიდენტმა.

ცოტა ხნის შემდეგ გონიოს სანაპიროზე თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია და გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი ვახტანგ კაპანაძეც მივიდნენ.

თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელი პირები დაკარგული სამხედროების მშობლებს გაესაუბრნენ.

ერთ-ერთის მშობელმა, იაგო შარაძემ ლევან იზორიას უთხრა, რომ მისი შვილი კარგად ცურავდა და, სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა ინსტრუქტორის მხრიდან უყურადღებობას.

– ხომ შეიძლებოდა მასწავლებელს მიექცია ყურადღება? უბრალო უყურადღებობამ დამიღუპა შვილი. აქვე გაიზარდა ჩემი შვილი, ძალიან ძლიერი მოცურავე იყო, მას არაფერი არ შეეშლებოდა, – აღნიშნა იაგო შარაძემ.

ლევან იზორიამ მშობლებს უთხრა, რომ პირად კონტროლზე ჰყავს საქმე აყვანილი და გამოძიება დაადგენს მომხდარის მიზეზებს.

– გამოძიება დაიწყო და მიზეზებს დავადგენთ. თუ ეს იყო დაუდევრობა, ბუნებრივია, პასუხს აგებენ, გაძლევთ პირობას. ახლა მთავარი ამოცანაა სამაშველო ოპერაცია მივიყვანოთ ბოლომდე. ამერიკელებიც აქ არიან, თურქულ მხარეს ვთხოვეთ, დაგვეხმარონ, მათ აქვთ გამოცდილება მსგავსი ღონისძიებების. პირად კონტროლზე იქნება ეს საქმე, ძალიან გული გვტკივა ამ ყველაფრის გამო, – აღნიშნა ბ-მა იზორიამ.

◆ ◆ ◆

გუშინვე თავდაცვის სამინისტროს სპეციალური ძალების მეთაურმა, პოლკოვნიკმა დიმიტრი კიკნაძემ გონიოში პრეზიდენტის ჩასვლის შემდეგ მომხდარის დეტალებზე ისაუბრა.

მისი თქმით, ერთ-ერთი დაკარგული კურსანტი, სავარაუდოდ, პანიკაში ჩავარდა, რის გამოც გახშირებულად სუნთქვა დაიწყო და ჟანგბადი გაუთავდა.

– ინსტრუქტორი ცდილობდა, რომ მისთვის მიეწოდებინა ჰაერი, მერე ანიშნებდა ერთი, ორი, სამი... რომ ესუნთქა... ანუ ვიზუალური კონტაქტი ჰქონდათ, – განუცხადა კიკნაძემ პრეზიდენტს.

მისივე ინფორმაციით, აღნიშნული კურსანტის დასახმარებლად მეორე ინსტრუქტორიც მივიდა, რომელმაც იქამდე 17 მეტრი სიღრმიდან, სადაც სწავლება მიმდინარეობდა, კიდევ ერთი კურსანტი 5 მეტრის სიმაღლემდე აიყვანა.

– ამოიყვანა 5 მეტრის სიმაღლეზე და ჰკითხა, როგორ გრძნობდა თავს. იყო დადასტურება, რომ კარგად გრძნობდა თავს, ჰაერიც საკმარისი ჰქონდა, რის შემდეგაც ანიშნა, რომ ზევით ასულიყო, თვითონ კი წამოვიდა ქვემოთ – ზემოთ რომ ამოჰყოლოდა, უკვე დანარჩენებსაც დაკარგავდა და იმათაც ვერ მიეხმარებოდა, – უამბო პოლკოვნიკმა ქვეყნის პირველ პირს.

დიმიტრი კიკნაძის თქმითვე, 17 მეტრის სიღრმეზე დაბრუნებულმა ინსტრუქტორმა დაინახა, რომ კურსანტი უკვე გაუნძრევლად იყო.

– შეუმოწმა, ჰაერი თუ ჰქონდა, დრო რამდენი იყო და ნელ-ნელა დაიწყო ამოყვანა, თუმცა ამოყვანა რომ დაიწყო, უკვე თვითონ ინსტრუქტორსაც გაუთავდა ჰაერი, რადგან ხან ამას აძალებდა, ხან თვითონ სუნთქავდა – ერთი რეგულატორი ჰქონდათ, ამიტომ აღჭურვილობა მოიხსნა, წამოვიდა დიდი სისწრაფით და, როგორც ბიჭები იძახიან, ამოვარდა წყლიდან, რის შემდეგაც გონება დაკარგა, ღებინება და სისხლდენა დაეწყო, – განმარტა კიკნაძემ.

მანვე დასძინა, რომ დაკარგულია ის ბიჭიც, რომელიც ინსტრუქტორს 5 მეტრის სიმაღლეზე ამოყვანილი ჰყავდა.

თავად ინსტრუქტორი საავადმყოფოში გადაიყვანეს და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ახლა სტაბილურია.

რა მოუვიდა კიდევ ერთ ინსტრუქტორს, რომელიც ასევე კურსანტის დახმარებას ცდილობდა, კიკნაძეს პრეზიდენტთან გასაუბრებისას არ დაუკონკრეტებია.

დაუზუსტებელი ცნობით, ჟანგბადის უკმარისობის გამო, ისიც იძულებული გახდა, წყლის ზედაპირზე ამოსულიყო, რის შემდეგაც მასაც ღებინება და სისხლდენა დაეწყო.

– სწრაფად ამოსვლა მოუვიდათ, მაგრამ ისეთი არაფერი – ღებინება ჰქონდათ, სისხლდენები შინაგანი ორგანოებიდან და საავადმყოფოში გვყავდა გადაყვანილი, მაგრამ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკვე ნორმალურია, – აღნიშნეს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა.

◆ ◆ ◆

საქართველოს მთავრობის თხოვნის საფუძველზე, აშშ-ს მთავრობამ აშშ-ს ევროპულ სარდლობას დაავალა, რომ სპეციალური დანიშნულების ძალებმა ორი ქართველი სამხედრო მოსამსახურის გადარჩენის ოპერაციაში მონაწილეობა მიიღონ.

ლევან ბერძენიშვილი ირაკლი სესიაშვილს: „ყოჩაღ, ირაკლი, რა დიდი აზროვნება გქონია!“

– თუკი საქართველოს უშიშროება იმ ინფორმაციასაც ვერ ფლობს, ნინო ბურჯანაძე და დავით უსუფაშვილი ერთად არიან თუ ცალ-ცალკე, თუკი ჩვენ ამ ხელისუფლებასაც რუსეთის აგენტები ვგონივართ, კარგად ყოფილა მათი საქმე.

ასე უპასუხა რესპუბლიკელმა ლევან ბერძენიშვილმა ირაკლი სესიაშვილის პოზიციას, რომლის შეფასებითაც, ერთი მხრივ, საქართველოს „უბლოკო სტატუსის“ შესახებ ნინო ბურჯანაძის ინიციატივა, ხოლო მეორე მხრივ, უბლოკო სტატუსის საწინააღმდეგოდ დავით უსუფაშვილის საკონსტიტუციო წინადადება საარჩევნო პიარის ნაწილია და რომ ბურჯანაძე-უსუფაშვილი შეხმატკბილებულები არიან და საპარლამენტო უმრავლესობა მათი პიარ-დუეტის ნაწილი არ უნდა გახდეს.

ლევან ბერძენიშვილი:

– დავით უსუფაშვილის საკონსტიტუციო ინიციატივა პოპულისტური საკითხი არ არის. საქართველოს უსაფრთხოება სჭირდება არჩევნების დროს და არჩევნების შემდეგ.

აღნიშნულ საკონსტიტუციო ინიციატივას არჩევნების შემდეგაც დავაყენებთ – თუ ახლა მოაწერენ დეპუტატები პროექტს ხელს, ეს კარგია, თუ არა – ჩვენ არასდროს მიგვაჩნია, რომ ყველაფერი ერთ დღეში უნდა გაკეთდეს.

ბ-ნი ბერძენიშვილის აზრით, პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივა არის პასუხი იმ კომიკურ ინიციატივაზე, რომელიც ქალბატონმა ბურჯანაძემ შემოიტანა. პასუხად კი მან ძალიან უცნაური ბრალდებები მიიღო.

– სიტყვები არ მყოფნის ირაკლი სესიაშვილის ბრალდებებთან დაკავშირებით, უსუსური ვარ ასეთი ტიპის განცხადებებთან დაკავშირებით, შემიძლია მხოლოდ „ვეფხისტყაოსნიდან“ გავიმეორო: – „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“. სესიაშვილმა გვაჩვენა, როგორ აზროვნებს. თუკი ასე ფიქრობს, შეუძლია ასე გააგრძელოს – ვინ დაუშლის, მაგრამ ამ კაცის ხელში რაიმე სერიოზული საქმის ჩაგდება, ამ განცხადების შემდეგ, არასერიოზული იქნება, – განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

მისივე თქმით, ხელისუფლებას ფლანგიდან „ცენტრისტები“ გაექცათ და ახლა რესპუბლიკელები იპოვეს რუსული ინტერესების გამტარებლად.

– ყოჩაღ, ირაკლი, აფერუმ, რა დიდი აზროვნება გქონია! ქართველები მსოფლიოს აოგნებენ მსოფლიო რეკორდებით, სესიაშვილი – თავისი აზროვნების სიმაღლით, – დასძინა რესპუბლიკელთა ერთ-ერთმა ლიდერმა.

თორნიკე შარაშენიძე: „რესპუბლიკელების ინიციატივაც და ბურჯანაძის იდეაც წინასაარჩევნო პიარია“

ნათია ხურცილავა

ჯიპას პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ქვეყნის უბლოკო სტატუსი და ნეიტრალიტეტი თითქმის იდენტური ცნებებია.

– ბატონო თორნიკე, ნინო ბურჯანაძის ინიციატივა უბლოკო სტატუსთან დაკავშირებით, რატომ არის დღეს ასე აქტუალური?

– შეიძლება ბურჯანაძისთვის არის აქტუალური, მაგრამ ქვეყნისთვის ნამდვილად არ არის აქტუალური. რას ნიშნავს უბლოკო სტატუსი იმ ქვეყნისთვის, რომლის ტერიტორიების 20% რუსეთის მიერ არის ოკუპირებული?! უბლოკო სტატუსი არის სწორედ რუსეთის პირდაპირი სურვილი. სწორედ ამას გვეუბნება პუტინი, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავხდეთ ნატოს წევრი ქვეყანა, რომ მის საზღვრის სიახლოვეს არ დაუშვებს ნატოს ჯარებს და ა.შ. სწორედ იმას გვეუბნება პუტინი, რასაც ახლა ბურჯანაძე გვთავაზობს, სხვას კი არაფერს.

– ბურჯანაძე აცხადებს, რომ შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი უბლოკო სტატუსია.

– ეს არის ღიად რუსული ნარატივი. ბურჯანაძეს ავიწყდება, რომ საქართველო უკვე იყო ნეიტრალური ქვეყანა 1920 წელს. იმის გამო, რომ ჩვენ ჩვენი უცხოელი მეგობრები გავაძევეთ, ერთ წელიწადში, 1921 წელს, რუსეთმა ეს ნეიტრალური საქართველო მარტივად დაიპყრო. ეს ხომ უნდა იყოს გაკვეთილი, ჭკუის სასწავლებელი?! ეს ბურჯანაძემ მშვენივრად იცის, მაგრამ სპეკულირებს იმ ადამიანებზე, რომლებმაც არ იციან, რომლებიც ისტორიას არ უკვირდებიან და ანალიზს არ აკეთებენ. ბურჯანაძე აქცენტს აკეთებს იმ ადამიანებზე, რომლებსაც მარტივად მოხვდებათ ეს ფრაზები ყურზე და იტყვიან, რომ იქნებ მართლა ნეიტრალიტეტია გამოსავალი.

– ისინი აცხადებენ, რომ ნეიტრალიტეტი და უბლოკო სტატუსი განსხვავდება ერთმანეთისგან.

– ცხადია, ერთმანეთისგან განსხვავდება, სხვაობა არის ნიუანსებში, მაგრამ არსებითი განსხვავება ნამდვილად არ არის. თუ არის არსებითი განსხვავება, მაშინ ეს გვითხრან, მაგრამ ვერ იტყვიან, რადგან რეალურად თითქმის ერთ იდეაზეა საუბარი. იდეა კი რა არის? არ გავხდეთ ნატოს წევრი სახელმწიფო, არ გავხდეთ არც ერთი საერთაშორისო სამხედრო ბლოკის წევრი. ასევე საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურა, სამხედრო ძალა იყოს სრულიად მარტო, არავითარი ამერიკული, არავითარი თანამედროვე სტანდარტები. ეს უნდა რუსეთს.

– უბლოკო სტატუსი აქვს რომელიმე სახელმწიფოს გამოცხადებული, რომელსაც აქვს ტერიტორიების პრობლემა?

– კი, პოსტსაბჭოთა სივრცეში მოლდავეთს, მაგრამ რაში გამოადგა ეს სტატუსი მოლდავეთს, ეს გვითხრას ქალბატონმა ბურჯანაძემ. აღადგინა ტერიტორიული მთლიანობა?! მან შეასრულა ის, რასაც რუსეთი ითხოვდა, მაგრამ მერე რა? რა არის მთავარი იდეა, როდესაც ამაზეა საუბარი, ის, რომ მოხდეს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ხომ ასეა? მაგრამ მოლდავეთის შემთხვევაში რატომ არ მოხდა?! ეს არის ის კითხვები, რომლებზეც უნდა გასცეს პასუხი ქალბატონმა ბურჯანაძემ.

– ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ქვეყნის პროდასავლურ კურსთან დაკავშირებით არაერთი რეზოლუციაა მიღებული. პრემიერი კვირიკაშვილი ამბობს, რომ სწორედ მათ მოაწერეს ხელი ასოცირების შეთანხმებას, რომ ეს არის ის ხელისუფლება, რომელიც ურყევად დგას ევროკავშირისა და ნატოს გზაზე. ეს არის საკმარისი თუ საჭიროა კონსტიტუციის დონეზე მოხდეს განსაზღვრა?

– მართალი გითხრათ, მე არ მეშინია, რომ პარლამენტში პრორუსული ძალები მოვლენ, მეჭიაურსა და მის მსგავს ძალებს ნულოვანი შანსი აქვთ. მთავარი არის, რას იზამს „ქართული ოცნება“. დღევანდელი გადასახედიდან არჩევნებში „ქართული ოცნება“ იმარჯვებს. თუ „ქართული ოცნება“ კვლავ გააგრძელებს დღევანდელ რბილ პროევროპულ კურსს, მაშინ საშიში არაფერია და ყველაფერი კარგად არის. წინააღმდეგ შემთხვევაში ამომრჩეველმა პასუხიც მას უნდა მოჰკითხოს. საქართველოში პრორუსულ მითიურ პარტიებს შანსი არ აქვთ.

– ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ბურჯანაძის იდეაც და რესპუბლიკელების ინიციატივაც, რომ პროდასავლური საგარეო კურსის განსაზღვრა კონსტიტუციის დონეზე მოხდეს, წინასაარჩევნო პიარის ნაწილია. ეთანხმებით?

– სხვა პოზიცია, უბრალოდ, წარმოუდგენელია. რესპუბლიკელებს რატომ გაახსენდათ ახლა ქვეყნისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხი, როდესაც 4 წელი პარლამენტში იყვნენ და ამისთვის არაფერი გაუკეთებიათ?! ეს სამწუხარო ფაქტია, მათ შეეძლოთ მთელი 4 წლის განმავლობაში და არა ახლა, როდესაც წინ არჩევნებია, ეს საკითხი უფრო ღრმად გაეანალიზებინათ. ამიტომ, სამწუხაროდ, რესპუბლიკელების ინიციატივაც პიარის ნაწილია. მსგავსი ინიციატივა ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ, რადგან ეს მათი ინიციატივა იყო, ბუნებრივია, მხარი არ დაუჭირეს.

– ცენტრისტების ღია გზავნილი, რომ ისინი რუსულ ბაზებს დააკანონებენ, რატომ ფიქრობდნენ, რომ ეს ვიღაცას შეიძლება მოსწონებოდა იმ ქვეყანაში, რომლის ტერიტორიებიც ოკუპირებულია?

– ეს არის სერიოზული პრობლემა ერთი და მეორე, ბედუკაძემ პირდაპირ განაცხადა, ჩემი გეგმა რუსეთის გენერალურ შტაბთან არის შეთანხმებულიო. წარმოუდგენელია, ეს ასე ღიად განაცხადო ქვეყანაში და ამაზე ყური არავინ გაიბერტყოს. წესით, ყველა ყველაფერს უნდა მიმხვდარიყო, მაგრამ არავის ეს არ აწყობდა, როგორც ჩანს.

– ცესკოს გადაწყვეტილებაზე რას იტყვით?

– სამარცხვინოა, რომ საქმე აქამდე მივიდა. რომელ ქვეყანაში ხდება, რომ გამოვიდეს პარტია ტელევიზიით და ღიად თქვას, რომ მტრის, ოკუპანტი ქვეყნის სამხედრო ბაზებს დააკანონებს. მსგავსი რამ ისტორიაში არ გამიგია.

ბიძინა გუჯაბიძე: „რუსული ძალა საქართველოში ვერ გაიმარჯვებს“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის წევრი ბიძინა გუჯაბიძე აცხადებს, რომ რუსული ძალა საქართველოში ვერ გაიმარჯვებს.

– ცენტრისტები პროვოკაციაზე წამოვიდნენ. პრორუსული ძალა საქართველოში ვერ გაიმარჯვებს. რუსული გეგმების პირდაპირ ღიად აფიშირება და აგიტაცია საქართველოში არსებულ თავისუფალ გარემოზე მიუთითებს, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ ბიძინა გუჯაბიძემ.

– ბატონო ბიძინა, მოგილოცოთ, „ქართული ოცნების“ სიაში ხომ ხართ?

– არა, ეს ჯერ არ არის ცნობილი.

– კონსერვატორები „ოცნებასთან“ ხომ შეთანხმდით, რომ თქვენი რამდენიმე წევრი სიაში იქნებოდა.

– ჯერ არ არის გადაწყვეტილი, ამიტომ ვერაფერს გეტყვით. ჯერჯერობით მაჟორიტარები დალაგდა.

– საზოგადოება, ექსპერტები, პარტიები ღელავენ „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატების გამო. მათ შორისაა ზოგიერთი ყოფილი თქვენი თანაკოალიციელიც. თქვენ მოგწონთ დასახელებული კანდიდატები?

– ყველა ღირსეული კანდიდატია, დასაწუნი არაფერი აქვთ. შეიძლება ზოგიერთს პარლამენტში მუშაობის გამოცდილება არ აქვს, მაგრამ პარლამენტის წევრის ჩვევებს მალე აითვისებს, ნიჭიერი ხალხია. იმედი მაქვს, საპარლამენტო მუშაობას მალე აუღებენ ალღოს. რომელ პარტიასაც ჩვენი კანდიდატები არ მოსწონს, თავის კანდიდატებს გადახედოს.

– ისე, რატომ უნდა აღელვებდეთ პარტიების წარმომადგენლებს, თუ „ოცნებას“ სუსტი მაჟორიტარები ეყოლება?

– ყველას თავისი შეხედულება აქვს.

– უსუფაშვილიც გაკრიტიკებდათ.

– უსუფაშვილი ახლა ოპოზიციაშია და მასაც შეუძლია კრიტიკული შენიშვნა გამოთქვას. რამდენად მისაღებია ჩვენთვის და რამდენად სწორია მათი შენიშვნები, მომავალში გაირკვევა.

– ისე, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი რატომ უნდა ღელავდეს, თუ თქვენ სუსტი კანდიდატები გყავთ? პირიქით, არ უნდა აწყობდეთ?

– ისინი მღელვარებას გამოხატავენ კრიტიკულად. ჩვენი კრიტიკით უნდათ, თავიანთი ამომრჩეველი დაარწმუნონ თავის „სიძლიერეში“ – მხარი არ დაუჭიროთ „ოცნებას“ და ჩვენ მოგვეცით ხმაო. ეს არის მათი მიზანი.

– თქვენს თავს „ქართულ ოცნებასთან“ მოიაზრებთ?

– რა თქმა უნდა.

– წინასაარჩევნო ვითარებას როგორ აფასებთ?

– ჯერჯერობით, ნორმალური ვითარებაა, თუ გამოცდილმა პარტიამ, ნაცმოძრაობამ არ აურია. თუ ნაცმოძრაობამ არაფერი ჩაიფიქრა, ყველაფერი ნორმალურად წავა.

– ნაცმოძრაობისგან კიდევ ელოდებით ვითარების არევას?

– ნაცმოძრაობისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ამას მათი განვლილი პოლიტიკური ცხოვრებაც გვიჩვენებს და ახლანდელიც.

– პარტიებს არჩევნებში რა შანსები აქვთ?

– პარტიები საქართველოს პარლამენტში ძალიან მცირე ჯგუფების სახით იქნებიან წარმოდგენილები. ძირითადი პოლიტიკური ძალა და წარმმართველი „ქართული ოცნება“ იქნება. სხვა პარტიების შანსები ძალიან მცირეა. თუმცა, ისეთ აზრს ქმნიან, თითქოს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების რაიმე შანსი აქვთ, მაგრამ ასე არ არის.

– რომელ პარტიებს აქვთ შანსი, 3-3 კაცით შევიდნენ პარლამენტში?

– ყველას, „ქართული ოცნების“ მიღმა ვინც არიან.

– ცენტრისტების იდეებმა საზოგადოებაში ხმაური გამოიწვია. თქვენ როგორ შეაფასეთ მათი შეთავაზებები?

– ისეთ პროვოკაციაზე წამოვიდნენ, რომ საზოგადოებასთან თვითონ გაიფუჭეს საქმე. პრორუსული ძალა საქართველოში ვერ გაიმარჯვებს, ეს ცხადია. რუსული გეგმების პირდაპირ ღიად აფიშირება და აგიტაცია თავისუფალ ვითარებაზე მიუთითებს. თუმცა, გადავწყვიტეთ ხელმოწერები შეგვეგროვებინა და გაგვეაჩივრებინა მათი საარჩევნო ბლოკის რეგისტრაცია. მომავლის საქმეა, საკონსტიტუციო სასამართლოში პარტია აიკრძალება თუ არა.

– ხაჩიშვილის პიროვნებას როგორ აფასებთ?

– ხაჩიშვილს იმდენი შეცდომა აქვს დაშვებული და დანაშაული აქვს ჩადენილი, რომ, საერთოდ, პოლიტიკურ საკითხებში როგორ ერევა. მას დანაშაული აქვს ჩადენილი ქართველი ერის წინაშე. მესმოდა, თითქოს მოინანია ზვიად გამსახურდიასთან დაპირისპირება, მაგრამ ეს არ შველის. ის უნდა დასჯილიყო, მაგრამ წასული ამბავია. ხაჩიშვილი პოლიტიკაში, საერთოდ, არ უნდა შემოსულიყო. უნდა ეკმარა ის სასჯელი, რაც მან მიიღო. ახლა რასაც აკეთებს, პოლიტიკური სპეკულაციებია.

– ამბობთ, ხაჩიშვილი უნდა დასჯილიყო ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ჩადენილის გამოო. ხაჩიშვილზე არა, მაგრამ სიგუასა და კიტოვანზე ჩემთვის ინტერვიუებში ბევრს უთქვამს, ქართველი ერის სირცხვილია, კიტოვანი და სიგუა თბილისში თავისუფლად რომ დასეირნობენო. რატომ არ აგეს პასუხი ამ ადამიანებმა საქართველოში 1991-92 წლებში მოწყობილი სისხლისღვრისთვის?

– სამწუხაროდ, ასე მოხდა, მაგრამ ვერც ერთ პოლიტიკურ პროცესში ისინი ვერ ჩაერევიან, ხალხი ამას არ დაუშვებს. მეც მწყდება გული, მათ

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მიხეილ მაჭავარიანი: „უსუფაშვილის ინიციატივა ცუდად გათვლილი პიარნაბიჯია“

– ეს არის ძალიან ცუდად გათვლილი პიარ ნაბიჯი.

ასე აფასებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი მიხეილ მაჭავარიანი პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივას საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური კურსის კონსტიტუციით განსაზღვრის თაობაზე.

მაჭავარიანი განმარტავს, რომ კორცხელის დარბევის გამოუძიებლობის გამო, ნაციონალური მოძრაობა ბოიკოტის რეჟიმში იმყოფება და საპარლამენტო საქმიანობაში არ მონაწილეობს, შესაბამისად, არც ბიუროს სხდომას დაესწრება, რომელზეც საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივებისთვის მსვლელობის მიცემის საკითხი განიხილება.

მიხეილ მაჭავარიანი:

– მართლა გაკვირვებას იწვევს საგარეო პოლიტიკური კურსის კონსტიტუციაში ჩაწერის საკონსტიტუციო ცვლილების ინიცირება ისეთი ადამიანისგან, როგორიც დავით უსუფაშვილია.

მე მინდა შეგახსენოთ, რომ ბატონი დავითი იყო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე. თუ მას ასეთი ინიციატივა ჰქონდა, ჯერ ერთი, შეეძლო მხარი დაეჭირა ამ ინიციატივისთვის, როდესაც ნაციონალურმა მოძრაობამ დავაყენეთ იგი ან მას დაეყენებინა ეს ინიციატივა დამოუკიდებლად და ამას არ დასჭირვებოდა 4 წელი და კოალიციიდან გაბრძანება, გაძევება თუ გაყრა.

მაჭავარიანის თქმით, აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილების მიღება დროში შეუძლებელია.

– ეს თუ საარჩევნო პიარია, გასაგებია, თორემ დროში წარმოუდგენელია ამ ცვლილებების განხორციელება მერვე მოწვევის პარლამენტის მიერ, ვინაიდან საჭიროა მინიმუმ ერთთვიანი საერთო-სახალხო განხილვა. მანაც იცის, რომ წარმოუდგენელია.

ძალიან სამწუხაროა, რომ დათოსთან დაკავშირებით მიწევს ამის თქმა, მაგრამ ეს არის ძალიან ცუდად გათვლილი პიარ ნაბიჯი, იმიტომ რომ, თუ ამის გაკეთება უნდოდა უსუფაშვილს, 4 წელი ბურთიც, მოედანიც, მსაჯის სასტვენიც და წითელი და ყვითელი ბარათებიც მას ედო ჯიბეში. მით უმეტეს, შეგახსენებთ, რომ ჩვენ ეს ინიციატივა დავაყენეთ და მაშინ ვერც რესპუბლიკელების და ვერც კოალიციაში შემავალი სხვა პარტიების მხარდაჭერა ვერ მოვიპოვეთ, – განაცხადა მაჭავარიანმა.

რაც შეეხება საქართველოს უბლოკო სტატუსს, მაჭავარიანის თქმით, ნაციონალურ მოძრაობას მიაჩნია, რომ საქართველოს განვითარება არის ნატო-ში და ევროკავშირში, რა არჩევანიც გააკეთა ქვეყნის მოსახლეობამ 2008 წელს, ასევე, მიიჩნევს, რომ ყველა ადამიანი, რომელიც ნეიტრალური თუ უბლოკო სტატუსისკენ ისწრაფვის, ქვეყნის ინტერესებს არ ემსახურება.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

10-მილიარდიან ბიუჯეტში სათამაშო ბიზნესიდან მხოლოდ 66 მილიონი შედის

სათამაშო ბიზნესის რეგულაციების თემა ხელისუფლებას ისევ თაროზე აქვს შემოდებული და მისი პოზიცია ამ საკითხში გაურკვეველია.

რეგულაციის მომხრეები აცხადებენ, რომ სათამაშო ბიზნესის შეუზღუდავი არსებობა ქვეყანაში არაერთ სოციალურ პრობლემას ქმნის, რეგულაციის მოწინააღმდეგეები კი ამტკიცებენ, რომ შეზღუდვების დაწესებით დაზარალდება როგორც ბიზნესი, ისე სახელმწიფო ბიუჯეტი.

რატომ აღარ საუბრობს ხელისუფლება სფეროს რეგულაციებზე?

„კომერსანტი“ დაინტერესდა, რა სარგებელს იღებს სახელმწიფო ამ ბიზნესიდან და, შესაბამისად, რამდენად დიდი იქნება ზარალი რეგულაციების დაწესების შემთხვევაში.

ირკვევა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში სათამაშო ბიზნესიდან მიღებული წლიური შემოსავალი მხოლოდ 66 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლევანდელი ბიუჯეტის მხოლოდ 0,65%-ია – 2016 წლის ბიუჯეტი 10,145 მლრდ ლარია. ეს მაშინ, როდესაც ბიზნესის ამ სეგმენტის შემოსავალი რამდენიმე ასეული მილიონი ლარის ფარგლებში მერყეობს, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ სპეციალისტები. აზარტული თამაშები კი ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი, გაუმჭვირვალე და მოსახლეობისთვის სახიფათო ბიზნესია.

სპეციალისტების თქმით, საქართველოში სათამაშო ბიზნესის პოპულარობა მუდმივად იზრდება და სახიფათო მასშტაბებსაც იძენს.

ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ ამ ბიზნესში ჩართულობაც მარტივდება. თუ ადრე თამაშისთვის კაზინოში ან სპეციალურ დაწესებულებაში მისვლა იყო საჭირო, დღეს ესეც არაა აუცილებელი. მთავარია, გქონდეს ინტერნეტთან მიერთებული კომპიუტერი და ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ონლაინ აზარტული თამაშების სამყაროში აღმოჩნდები.

თავად ამ ბიზნესიდან სახელმწიფო კი ფულს იღებს, თუმცა არც ისე ბევრს. ბიუჯეტში სათამაშო ბიზნესიდან შესული თანხა მინიმალურია, არადა, სპეციალისტების თქმით, სექტორი, რომელიც მილიონობით თანხას ატრიალებს, საიდანაც ყოველდღიურად რამდენიმე ასეული თუ არა ათეული ადამიანი „ჯიბედაცარიელებული“ გამოდის, ასეთ ცოტა გადასახადს არ უნდა იხდიდეს.

◆ ◆ ◆

შემოსავლების სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, ბოლო 5 წელიწადში სათამაშო ბიზნესიდან შემოსავალი 14 მლნ ლარით გაიზარდა.

სათამაშო ბიზნესი ძირითადად მოსაკრებლით იბეგრება და ამ გადასახდელიდან ყველაზე მოცულობითი თანხა სათამაშო აპარატებზე დარიცხული მოსაკრებლიდან ირიცხება – 42,596 მლნ ლარი, სამორინეების მაგიდიდან – 20,539 მლნ ლარი, ელექტრონული თამაშიდან მიღებული თანხა კი სულ რაღაც 2,735 მლნ ლარია.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, 2011 წელს სათამაშო ბიზნესიდან ბიუჯეტში 52,652 მლნ ლარი შევიდა, 2012 წელს – 52,767 მლნ ლარი, 2013 წელს – 54,122 მლნ ლარი, 2014 წელს – 63,143 მლნ ლარი, ხოლო 2015 წელს – 66,486 მლნ ლარი.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ოდენობა დადგენილია საქართველოს კანონით და შეადგენს კვარტალში: თითოეულ სათამაშო აპარატზე 1.500 ლარიდან 3.000 ლარამდე. თითოეულ სამორინეს მაგიდაზე მოსაკრებელი 15.000 ლარიდან 30.000 ლარამდეა. თითოეულ აზარტული კლუბის მაგიდაზე კი – 3.000 ლარიდან 10.000 ლარამდე.

სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობაზე მოსაკრებლის ოდენობა 30.000-დან იწყება და 60.000 ლარამდე ადის.

სათამაშო ბიზნესი განსაკუთრებით მრავალფეროვანი აჭარაშია.

სპეციალისტები ბათუმს მეორე ლას ვეგასად გადაქცევას უწინასწარმეტყველებენ. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 4 წელიწადში აჭარაში სამორინეების რიცხვი 23-ს მიაღწევს. აჭარის ოფიციალური პირები ამბობენ, რომ სამორინეებს რეგიონისთვის მნიშვნელოვანი შემოსავალი მოაქვს, ვინაიდან ტურისტები ბათუმს ყველა სეზონზე სტუმრობენ.

დღეისთვის აჭარაში 11 სამორინე ფუნქციონირებს და ბათუმის ბიუჯეტში მიღებულმა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელმა 16.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც სათამაშო ბიზნესიდან მიღებული ჯამური შემოსავლის (20.2 მლნ ლარი) 81%-ს შეადგენს.

◆ ◆ ◆

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ ანალიტიკოსის ზურაბ კუკულაძის განცხადებით, სათამაშო ბიზნესის შემოსავლები გაუმჭვირვალეა. მისივე თქმით, კაზინოების შემოსავლების ზუსტი აღრიცხვა ძალიან რთულია, ვინაიდან პროცესი არის გაუმჭვირვალე. ადმინისტრირებაც ძალიან რთულია. კაზინოები მოგების გადასახადს არ იხდიან, ისინი იბეგრებიან მოსაკრებლით.

– უფრო მეტიც, თუ პირი დააფუძნებს კაზინოს და პარალელურად სხვა საქმიანობას დაიწყებს, იგი მარტო მოსაკრებელს იხდის. შესაბამისად, ჩვენ არ ვიცით, რეალურად კაზინოში რამდენია ბრუნვა, – ამბობს ზურაბ კუკულაძე.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ადვოკატი, ანალიტიკოსი არჩილ კაიკაციშვილი ამბობს, რომ სათამაშო ბიზნესი ბევრ ქვეყანაში არსებობს, მაგრამ მკაცრ რეგულაციებს ექვემდებარება, საქართველოში კი სათამაშო ბიზნესი არ რეგულირდება, თამაში შეუძლია ყველას, მათ შორის, არასრულწლოვნებს.

– ამ რეგულაციას კი უნდა უზრუნველყოფდეს სახელმწიფო და მეორე მხრივ, ეს უნდა შედიოდეს კომპანიების ინტერესებშიც, რადგან არასრულწლოვანთა ინტერესი მათთვის უნდა იყოს მნიშვნელოვანი. ეს საკითხი არის მთლიანად მიშვებული და არ არის იმგვარად რეგულირებული, როგორც საჭიროა, – აცხადებს კაიკაციშვილი.

მისივე თქმით, სათამაშო ბიზნესი დღეს არის წარმატებული ბიზნესი, რადგან მას ძალიან ბევრი მომხმარებელი ჰყავს.

– რაც შეეხება ბიუჯეტში შენატანს, ისინი, როგორც ვიცი, ძალიან ცოტა გადასახადს იხდიან. არადა, გადასახადი არ უნდა იყოს ცოტა. გერმანიაში კაზინოების და სამორინეების მოსაკრებელს განსაზღვრავენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, ანუ ფედერალური მიწების ხელისუფლებები. კანონმდებლობის თანახმად კი სათამაშო ბიზნესი საშუალო წლიური მოგების 60%-ით იბეგრება, – განუცხადა „კომერსანტს“ კაიკაციშვილმა.

◆ ◆ ◆

სათამაშო ბიზნესის რეგულაციებზე საუბარი წლებია მიმდინარეობს, ახალი პრემიერის მკაფიო პოზიციამ საკითხის ადგილიდან დაძვრის მოლოდინი გააჩინა; პარლამენტის წინაშე გამოსვლისას, 2015 წლის 29 დეკემბერს, პრემიერობის კანდიდატმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ინტერნეტ-კაზინოების საკითხს საფუძვლიანად შეისწავლის და მიიღებს სახელმწიფო გადაწყვეტილებას მის რეგულირებაზე.

ონლაინ კაზინო „კრისტალბეთის“ დამფუძნებელი და სათამაშო ბიზნესის ასოციაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ პროცესში ჩართული არიან ფინანსთა სამინისტრო და სათამაშო ბიზნესის ასოციაციაც.

ახვლედიანი ამბობს, რომ უშუალოდ სათამაშო ბიზნესთან აქტიური კონსულტაცია არ დაწყებულა. ამ მხრივ გარკვეული აქტივობები უახლოეს მომავალში დაიწყება.

„აჭარაბეთის“ მარკეტინგის მენეჯერი ლადო ხარხელაური აცხადებს, რომ ონლაინთამაშების აკრძალვა ამ სფეროს ძალიან სერიოზულად დააზარალებს და ყველა კომპანიას მოუწევს ყოფნა-არყოფნაზე დაფიქრება.

მისი თქმით, სამორინის დარბაზის შემოსავალი ვერ ფარავს ხარჯს და ძირითადი წყარო, დაახლოებით 80-85%, სწორედ ონლაინ თამაშებიდან მიღებული შემოსავალია.

– სახელმწიფო ძალიან სერიოზულად დაზარალდება. ჩვენთან ერთი დღის განმავლობაში შემოდის 500-1.000 ადამიანი, ონლაინში კი დღეში 60.000-70.000 ადამიანი თამაშობს. მათ შორის დიდი პროცენტი საზღვარგარეთის ქვეყნებიდანაა. ონლაინის გაუქმება სფეროს დემორალიზაციას გამოიწვევს, – აცხადებს ხარხელაური.

კომერსანტი

ჭკვიანი მრიცხველების დამონტაჟება 100 მილიონ დოლარამდე დაჯდება

ელექტროენერგიის სფეროში საათობრივი ვაჭრობის ინფრასტრუქტურის დანერგვის მიზნით, საქართველოში ე.წ. ჭკვიანი მრიცხველები დამონტაჟდება.

ამის შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილმა ბიზნესპრესნიუსთან საუბრისას განაცხადა.

მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, ენერგეტიკის სამინისტროს, ახალი რეგულაციებიდან გამომდინარე, ბაზრის მოდელის შეცვლა სურს. რაც ელექტროენერგიის მოხმარების კუთხით საათობრივი ინფრასტრუქტურის დანერგვას გულისხმობს.

– ელექტროენერგიაც პროდუქტია. როცა მისი მოხმარება მაღალ დონეზეა, უფრო ძვირი ღირს. ამიტომ დღის საათებში (მაღალი მოხმარების საათებში), როგორც წესი, ელექტროენერგია ძვირია, ღამის საათებში – იაფი. შესაბამისად, ბაზარზე ეტაპობრივად, საათობრივი ვაჭრობის პრინციპის დანერგვა, საცალო დონეზეც იმავე პრინციპების გატარებას გამოიწვევს, – განაცხადა ქ-მა ვალიშვილმა.

მისი აზრით, მომხმარებლის მრიცხველს უნდა შეეძლოს, აღრიცხოს, ნებისმიერ საათში რა სიმძლავრეს და რა ელექტროენერგიას მოიხმარს კონკრეტული მომხმარებელი. საერთაშორისო პერსპექტივაში ტარიფებიც იქნება სხვადასხვა. თუ მომხმარებელს ეკონომიის გაკეთება შეუძლია, ის სარეცხის მანქანას არ ჩართავს მაშინ, როცა ელექტროენერგია ყველაზე ძვირი ღირს და ჩართავს ღამე.

– ამიტომ ეს ეხმარება მთელ სისტემას, რომ დაიგეგმოს უფრო ოპტიმალურად. შედეგად სასისტემო ხარჯები ჯამში შემცირდება, – განმარტა მარიამ ვალიშვილმა.

საბითუმო დონეზე პროექტის განხორციელება უკვე დაწყებულია. თუმცა ეს მხოლოდ მსხვილ მომხმარებლებზე ვრცელდება – ძალიან დიდი ინდუსტრიული ობიექტების შემთხვევაში.

ენერგეტიკის სამინისტრო შემდეგ ეტაპზე მსხვილი კომერციული ობიექტების ახალ სისტემაში ჩართვას გეგმავს, მოსახლეობის ჭკვიანი მრიცხველებით უზრუნველყოფა კი ჯერჯერობით, სამომავლო პერსპექტივაა.

– ჩვენ გადავალთ შემდეგ სეგმენტზე, რომელიც იქნება სხვა მსხვილი კომერციული ობიექტები. მაგალითად, ეს იქნება ქარხნები, ფაბრიკები, საწარმოები. მოსახლეობაში „ჭკვიანი მრიცხველების“ დამონტაჟება ძალიან შორეული პერსპექტივაა, რადგან ეს მრიცხველები საკმაოდ ძვირი ღირს და ინვესტიციების კუთხით იქნება დიდი ზეწოლა საინვესტიციო კომპონენტის განაწილების ტარიფში, – განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

ამის გამო ეს განხორციელდება ეტაპობრივად, რათა ელექტროენერგიის ფასის შეღავათმა დააკომპენსიროს განაწილი ინფრასტრუქტურული ხარჯი. ეს არ უნდა იყოს მხოლოდ ხარჯი და მას სარგებელიც უნდა მოჰყვეს.

– შემდეგი ეტაპი არის 19-20 წელი, როდესაც ჩვენ ვგეგმავთ საათობრივი ბაზრის საბითუმო დონეზე შემოტანის პრინციპის დანერგვას, სადაც ძირითადად, მსხვილი ობიექტები ვაჭრებენ, – აღნიშნა მარიამ ვალიშვილმა და განმარტა, რომ საქართველოში ჭკვიანი მრიცხველების დამონტაჟება დაახლოებით 100 მილიონი დოლარი დაჯდება.

თამარ კორკოტაშვილი, ბიბიენი

პარტიზანმა მებაღემ შიმშილობა დაიწყო

პარტიზანი მებაღეების ერთ-ერთმა ლიდერმა ნატა ფერაძემ თბილისის მერიასთან შიმშილობა დაიწყო.

ნატა ფერაძე ყაზბეგის ქუჩის 24 ნომერში ხეების მოჭრას აპროტესტებს.

მისი თქმით, ეს შემთხვევა არ არის პირველი და ის ყოველდღე სოციალურ ქსელში აწყდება სხვადასხვა შემთხვევებს, თუ როგორ ჭრის მერია ხეებს იქ, სადაც არ შეიძლება და შემდეგ ამას კონტრაქტორ კომპანიებს აბრალებს.

ნატა ფერაძე:

– სანამ ეს სამსახური არ დაკომპლექტდება კვალიფიციური, პასუხისმგებლობით სავსე კადრებით, მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი. ვაცხადებ უვადო შიმშილობას.

ნატა ფერაძე ამბობს, მას განუცხადეს, რომ ხეების მოჭრის მიზეზი ის იყო, რომ ხეები არის ხმელი, თუმცა როგორც ნატა ფერაძე აცხადებს, კედარი და ვერცხლისფერი ნაძვები, რომლებიც გუშინ მოიჭრა, სრულიად საღი იყო.

ნატა ფერაძე ამასთან დაკავშირებით მერიისგან პასუხს ელოდება.

ინტერპრესნიუსი

ბიძინა გუჯაბიძე: „რუსული ძალა საქართველოში ვერ გაიმარჯვებს“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

პასუხი რომ არ აგებინეს. შევარდნაძე და სააკაშვილი რომ არ აგებინებდნენ პასუხს, ცხადია. დროთა განმავლობაში ისინი პასუხს აგებენ. მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს ხანდაზმულობის ვადა არ აქვს.

– ახლა აგებინებენ პასუხს?

– არა. ჯერჯერობით, ეს საკითხი არ მომწიფებულა.

– ხარი შვილის თანაპარტიელმა ბედუკაძემ (რომელიც პატიმრობიდან გენპროკურორმა გაათავისუფლა თანამშრომლობის გამო) განაცხადა, რომ შეცდომა იქნება, თუკი პარტია „ცენტრისტებს“ სასამართლო გააუქმებს, ისევე, როგორც შეცდომა იყო 1991 წელს კომპარტიის გაუქმებაო. რა პასუხი გაქვთ?

– კომპარტია რაც იყო, ყველამ კარგად იცის. კომპარტიასთან ცენტრისტების შედარებაც კი არ შეიძლება. მათ იდეოლოგიაში ჰქონდათ რუსეთთან ურთიერთობა. კომპარტია საბჭოთა კავშირში იყო წარმმართველი პოლიტიკური ძალა. ახლა იგივე რიტორიკასა და იდეოლოგიას არც ერთი საზოგადოება არ დაუშვებს, მათ შორის, არც ქართველი ერი.

– თქვენ საკონსტიტუციო სარჩელს ხელი მოაწერეთ?

– დიახ, მოვაწერე.

სექტემბერ-ოქტომბერში ხორბალი და ფქვილი გაიაფდება

ხორბლის საერთაშორისო საბჭოს ანგარიშის თანახმად, მსოფლიოში ხორბლის წარმოება 2016-2017 წლების სეზონში 20 მილიონი ტონით მეტი იქნება და 2.046 მილიონ ტონას მიაღწევს.

ორგანიზაციის წინა ანგარიშის თანახმად, ეს მაჩვენებელი 2.026 მილიონი ტონა იყო.

ხორბლის გადაჭარბებული მოსავლის ფონზე ექსპერტები მსოფლიო ბაზარზე ხორბლის გაიაფებას პროგნოზირებენ.

როგორც ეკონომიკის ექსპერტმა, პროფესორმა ემზარ ჯგერენაიამ ბიზნესპრესნიუსთან საუბრისას განაცხადა, ფასების კლების ტენდენცია საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზეც აისახება. რაც იმას ნიშნავს, რომ მთლიანად ბურღულეულზე ფასები შემცირდება.

მისი თქმით, ფასების შემცირებას სექტემბერ-ოქტომბრიდან უნდა ველოდოთ.

– ბუნებრივია, ფასის კლება საქართველოსაც შეეხება, ძირითადად ხორბალთან დაკავშირებით. ჩვენ მიბმული ვართ რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის ბაზარს. რუსეთში ტონა ხორბალი 160 დოლარი ღირს, რაც გაუგონრად დაბალი ფასია, – განაცხადა ექსპერტმა.

მისი თქმით, რუსეთში 130 მილიონ ტონამდე მოსავალს ელოდებიან და ყველაფერს აკეთებენ, რომ 30 მილიონზე მეტი ქვეყნის გარეთ გაიტანონ.

– აქედან გამომდინარე, საქართველოში ხორბლისა და ფქვილის ფასი ძალიან დაბალი იქნება. შესაბამისად, პურის ფასიც დაიკლებს. ბაზარი ფასებს თავად დაარეგულირებს და ფასები მთლიანად ბურღულეულზე დაეცემა. ფასების კლებას სექტემბერ-ოქტომბერში ველოდებით. გარდა საქონლის ხორცისა, ფასები ყველგან დაეცემა, – განაცხადა ბიზნესპრესნიუსთან საუბრისას ემზარ ჯგერენაიამ.

ლიკა ამირაშვილი, ბიბიენი

მოსახლეობის 15% ძილის დროს კბილებს აკრაჭუნებს

ბრუქსიზმი არის კბილების კრაჭუნი, რაც გამოწვეულია ძილის დროს საღეჭი კუნთების შეტევითი ხასიათის შეკუმშვებით. დამტკიცებულია, რომ პლანეტის მოსახლეობის 15% აკრაჭუნებს კბილებს ძილის დროს.

ბავშვებში ბრუქსიზმი გვხვდება უფრო ხშირად ვიდრე მოზრდილებში. მეცნიერების აზრით, ეს პრობლემა აწუხებს ყოველ მესამე სკოლამდელ და ყოველ მეორე მცირე კლასების მოსწავლეს.

აღნიშნული პრობლემის შესახებ ხალხში ამბობენ, რომ ძილში კბილების კრაჭუნი ორგანიზმში ჭიების არსებობის უტყუარი ნიშანია, თუმცა ეს აზრი მეცნიერებმა ვერ დაამტკიცეს. საერთოდ, კბილების კრაჭუნის მიზეზი დღემდე უცნობია.

დღის ბრუქსიზმი გამოიხატება დღის განმავლობაში, როდესაც ადამიანს ახასიათებს ძლიერი ემოციური დაძაბულობის დროს კბილების დიდი ძალით დაჭერა, კრაჭუნამდე.

ღამის ბრუქსიზმი გამოიხატება ღამით, ძილის დროს კბილების კრაჭუნში. ამასთან ღამის განმავლობაში შესაძლოა მოხდეს რამოდენიმე შეტევა.

გავრცელებული ვერსიით აღნიშნული მოვლენას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ძილის სიღრმის რეგულაციის დარღვევისას. ისეთები, როგორიცაა სომნამბულიზმი (მთვარეული), ხვრინვა, ღამის ენურეზი და შიშის მომგვრელი სიზმრები.

შესაძლოა, აღნიშნული სიმპტომი გამოიწვიოს, საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის აგებულების თავისებურებამ, თანკბილვის პათოლოგიამ ან სახის ჩონჩხის სხვა პათოლოგიებმა.

მეცნიერების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ბრუქსიზმი უვითარდებათ ადამიანებს, რომლებიც განიცდიან გამუდმებულ სტრესს, რასაც მოსდევს შინაგანი აშლილობა, დაძაბულობა, სიბრაზე, ძილის წინა აღგზნებულობა.

ბრუქსიზმმა შესაძლოა სერიოზული გართულებებიც გამოიწვიოს: კბილების პათოლოგიური ცვეთა, კბილების მორყევა და მოტეხილობა, თანკბილვის დარღვევა, საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის პათოლოგია, თავის ტკივილი, სახის კუნთების სპაზმები და ტკივილები.

ბრუქსიზმთან დამოუკიდებლად ბრძოლა, პრაქტიკულად შეუძლებელია, როგორც კი შეამჩნევთ აღნიშნულ პრობლემას, მიმართეთ თქვენს სტომატოლოგს პროფესიული რჩევისთვის და სათანადო მკურნალობის დასანიშნად.

ამასთან გახსოვდეთ, რომ ბავშვების ბრუქსიზმი, არ ითხოვს რაიმე სპეციალურ მკურნალობას, შესაძლოა თავისით გაიაროს.

ხოლო ბრუქსიზმი მოზრდილ ასაკში უკვე ითხოვს აუცილებელ მკურნალობას.

* * *

ძილის დროს თქვენი კბილების დასაცავად შესაძლოა დაინიშნოს სპეციალური პირშიგნითა აპარატები. ძირითადად აღნიშნული აპარატი მზადდება რბილი პლასტიკისაგან, რომელიც მჭიდროდ ეკვრის კბილებს (დაახლოებით იგივეს დამცავ საშუალებას ხმარობენ მოკრივეები ბრძოლების დროს).

ბრუქსიზმი ხშირად ვითარდება და ძლიერდება სტრესის დროს. თქვენ დაგჭირდებათ გარკვეული ძალისხმევა, რათა დასძლიოთ სტრესი ან შეამციროთ მისი ნეგატიური ეფექტი. ეს დაგეხმარებათ ბრუქსიზმის პროფილაქტიკაში და მოგიხსნით მასთან დაკავშირებულ ყბების ტკივილებს.

სტრესთან ბრძოლისათვის არსებობს მრავალი საშუალება. ხშირად გამოიყენება თვით დახმარების მეთოდები. სასარგებლო შესაძლოა გამოდგეს რელაქსაციის და ბიოლოგიური უკუკავშირის მეთოდები. ფსიქოლოგს და ფსიქოთერაპევტს ასევე შეუძლიათ დიდი დახმარების გაწევა.

რამდენიმე რჩევა უცხოელი სპეციალისტებისგან:

1. დღის განმავლობაში გქონდეთ პირი „ჯანმრთელი დასვენების“ მდგომარეობაში. „კბილები ერთმანეთს უნდა ეხებოდეს მხოლოდ საკვების მიღებისას. თუკი მიაჩვევთ თქვენ თავს, რომ არ შეახოთ კბილები, ეს შეამცირებს მათი კრაჭუნის სურვილს. რომ არ დაგავიწყდეთ სახლში და სამსახურში განათავსეთ შემახსენებელი წარწერები.

2. ახრამუნეთ ვაშლი. თუკი ღამით კბილებს აკრაჭუნებთ, შეეცადეთ ძილის წინ მაქსიმალურად დაღალოთ თქვენი საღეჭი აპარატი ვაშლის ან უმი ყვავილოვანი კომბოსტოს ჭამით, ამან შესაძლოა დაამშვიდოს თქვენი ჰიპერაქტიური პირის ღრუ.

3. ღამის კრაჭუნისას სცადეთ „პირისდარაჯი“. სპორტული ინვენტარის მაღაზიებში იყიდება მოწყობილობა, რომელსაც ათავსებთ ცხელ წყალში, შემდგომ იდებთ პირის ღრუში და კბეჩთ.

შელდონ გროსი, ნიუ ჯერსის სამედიცინო უნივერსიტეტის და ტუფტსას უნივერსიტეტის ლექტორი, ამტკიცებს, რომ აღნიშნული საშუალების დახმარებით შესაძლოა მოიშოროთ ღამის კრაჭუნი და დაიცვათ კბილები ცვეთისაგან. თუკი ამან გაამართლა მიმართეთ თქვენს სტომატოლოგს და დაგიმზადებთ თქვენი კბილების მიხედვით დამცავ კაპას.

4. მიიდეთ ყბებთან სითბო. დაკეცეთ პირსახოცი, დაასველეთ ცხელ წყალში, გაწურეთ და დაიდეთ სახის ორივე მხარეს, დაიდეთ ცხელი კომპრესები, ხშირად, როგორც შესძლებთ, გაიჩერეთ რამდენ ხანსაც გაუძლებთ, ეს მოადუნებს კუნთების დაძაბულობას, რაც ხშირად თავის ტკივილებს იწვევს.

5. პირველ რიგში დამშვიდდით. ექსპერტები თვლიან, რომ უმეტეს შემთხვევაში ბრუქსიზმი დაკავშირებულია სტრესთან. ასე, რომ მოდუნდით, მოეშვით და დამშვიდდით. ამისათვის საჭიროა:

6. კოფეინის და ნახშირწყლებით მდიდარი, როგორიცაა კანფეტები და ტკბილებული პროდუქტების მიღების შემცირება. რაც დაგეხმარებათ კვების გაუმჯობესებაში;

7. მიიღეთ თბილი აბაზანები;

8. არ გადაიტვირთოთ;

9. დაეუფლეთ რომელიმე კარგ რელაქსაციის ან მედიტაციის მეთოდს.

მკურნალი მუნჟმა

ოროვანდი – ფესვები გამოიყენება ოსტეოქონდროზის, რევმატიზმისა და პოდაგრის, შაქრიანი დიაბეტის, სუნთქვითი ორგანოებისა და კუჭ-ნაწლავის, თირკმლებში კენჭების არსებობისა და შარდკენჭოვანი დაავადებების, კუჭში შეკრულობის, ბუასილის, კანზე გამონაყარისა და წყლულების სამკურნალოდ. გთავაზოთ რეცეპტებს:

1. 1ს/კ დაქუცმაცებულ ოროვანდის ფესვებს დაასხით 1ჩ/ჭ წყალი და 10 წუთით ადუღეთ. 1 საათი გააჩერეთ თავდახურული. ნაყენი გამოიყენეთ საფენებისთვის, კომპრესებისა და გამოსავლებად.

2. 2ს/კ დაქუცმაცებული ფესვები ჩაყარეთ თერმოსში, დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 1 საათი, გაწურეთ და მიიღეთ ნახევარ-ნახევარი ჩ/ჭ ნაყენი დღეში 3-ჯერ ჭამამდე, რეკომენდებულია ოსტეოქონდროზის სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის.

3. სირსველის, ჩირქოვანი იარების, წყლულების, ფურუნკულის, მასტიტის, ეგზემისა და პოდაგრის დროს – ოროვანდის დასრესილი ფოთლები ქვედა მხრიდან დაიდეთ დაზიანებულ ადგილზე.

4. ფიბრომიომისა და საშვილოსნოს მიომის დროს – 2ს/კ გამხმარ ოროვანდის ფოთლებს დაასხით 2ჩ/ჭ მდუღარე წყალი, 10 საათი გააჩერეთ მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში თბილ ადგილას. გაწურეთ და მიიღეთ 100 მლ ნაყენი 4-ჯერ დღეში.

5. ქუსლების წანაზარდებზე დაიდეთ ოროვანდის ფოთლები და მჭიდროდ შეიხვიეთ, ჩაიცვით წინდა, ერთი დღე-ღამის შემდეგ ახალი კომპრესი გაიკეთეთ. საჭიროა 5 პროცედურა.

* * *

წიწმატურა – აჩერებს სისხლიან ხველას და სისხლდენას. სასარგებლოა ნაწლავების წყლულის დროს, რადგან გააჩნია დამამშვიდებელი თვისება. წიწმატურა დადებთ თვისებებს ავლენს როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი გამოყენებისას, ასევე, ოყნის სახითაც.

კუჭი ანთებისას, რეკომენდებულია მტკივანი ორგანოს არეზე წიწმატურას ფოთლების დადება.

შინაგანად მიღებული წიწმატურას ფოთლები შველის კუჭის დაავადებებს, რომლებსაც კუჭშეკრულობა ახლავს. თუ წიწმატურას ფოთლებს ახალ ჭრილობაზე დაიდებთ, უფრო სწრაფად შეხორცდება.

წიწმატურა შველის სიმსიმვნის, წყლულის, ჩირქგროვის დროს. ნედლ ფოთლებს გააჩნია დამამშვიდებელი და ტივილგამაყუჩებელი თვისება, სხვადასხვა ანთებების დროს. უნდა აღინიშნოს, რომ წიწმატურა მავნებელია ფილტვებისათვის. ამის გამოსწორება შეიძლება ლეღვის მიღებით.

* * *

სიმინდის ულვაში – შარდკენჭოვანი დაავადებების წამალი

სიმინდის ულვაში ნედლ მდგომარეობაში ოქროსფერ-ყვითელია. ის ტაროს მარცვლებს რძისებრი სიმწიფის ხანაში, სექტემბერ-ოქტომბერში უნდა მოვაცილოთ. ნედლეული უნდა გავშალოთ თხელ ფენად და გავაშროთ ჩრდილში. მისი შენახვა შეიძლება მშრალ ადგილას, მხოლო ხუთ-ექვს თვემდე, შემდეგ უვარგისი ხდება.

სიმინდის ულვაში ცხიმს, ცე, კა ვიტამინს, საპონინებს და სხვა შეიცავს. იხმარება, როგორც შარდმდენი სასუალება, შარდკენჭოვანი დაავადების, ნაღვლის ბუშტის სადინარებისა და ღვიძლის დაავადებების დროს. აქვს სისხლდენის შეჩერების უნარი.

ნაყენის მოსამზადებლად, 1 ჩაის კოვზ დაჭრილ სიმინდის ულვაშს დავასხათ 1 ჭიქა წყალი, წამოვადუღოთ, გავწუროთ და ვსვათ სისტემეტურად, როგორც ჩაი, დღეში 4-6-ჯერ, თითო სუფრის კოვზი. შარდის გამოყოფა ბევრად გაძლიერდება.

სიმინდის ულვაშის გარდა, იყენებენ სიმინდის მარცვლებიდან მიღებულ ზეთს ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის, როგორც სისხლში ქოლესტერინის რაოდენობის შემამცირებელ საშუალებას. ამ მიზნით კარგია ზეთის დამატება საჭმელში, განსაკუთრებით სალათებისთვის.

* * *

ხველის დროს ვაშლის კანისა და კომშის ნაყენი უებარია

თუ ხველამ შეგაწუხათ, თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ერთმანეთს კანიანად გახეხილი ვაშლი, ხახვი და თაფლი. მიიღეთ თითო სადილის კოვზი დღეში 3-ჯერ, ჭამის შემდეგ;მოადუღეთ ვაშლის კანის ნახარში და სვით მთელი დღის განმავლობაში;

ხველებას სწრაფად აწყნარებს შავი ბოლოკის წვენი, დამტკბარი შაქრით. სვით თითო სადილის კოვზი, ყოველ საათში ერთხელ.შეურიეთ ბოლოკის ან სტაფილოს წვენი თაფლიან რძეს (1:1), მიიღეთ თითო სადილის კოვზი დღეში 7-8-ჯერ.

თუ ხველა არ გაძინებთ, საღამოს, ძილის წინ, დალიეთ 1 ჭიქა ცხელ წყალში გახსნილი 3 წვეთი იოდის ხსნარი.

ასევე, ხველას შეგიჩერებთ კომშის ნახარში: დაჭერით კომში კანიანად. მოხარშეთ და დაატკბეთ. სვით მთელი დღის განმავლობაში.

* * *

ხახვი ტკივილს აამებს და მიკრობებს ებრძვის

ყელის ტკივილის დროს, ქიმიურ პრეპარატებზე უკეთ სავლები საშუალებები დაგვეხმარება. კარგია ყელში სოდის, კალენდულას, ევკალიპტისა და კრაზანას ნაყენების გამოვლება. ყელის ტკივილის დროს გვირილისა და ცაცხვის ნაყენიც დაგეხმარებათ.

გვირილა და ცაცხვის ყვავილი თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ერთმანეთში. აიღეთ ორი სუფრის კოვზი ნარევი, დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ ნახევარი საათი და შემდეგ გადაწურეთ. ნაყენი ყელში დღეში რამდენჯერმე გამოივლეთ.

ხახვი არა მარტო ტკივილს აყუჩებს, არამედ დაავადების გამომწვევ მიკრობებსაც კლავს. გახეხეთ სახეზე თანაბარი რაოდენობის ხახვი და ვაშლი. შეურიეთ იმავე რაოდენობით თაფლი და მიიღეთ ორი ჩაის კოვზი, დღეში სამჯერ. ყელის ტკივილი აუცილებლად გაგივლით.

გაციებისას არ დაგავიწყდეთ, რომ აუცილებლად მიიღოთ დიდი რაოდენობით ოთახის ტემპერატურაზე ნადგამი სითხე ან სვათ ცხელი კომპოტები და ჩაი.

* * *

შავი ქლიავი ორგანიზმს წმენდს

შავ ქლიავს განსაკუთრებული სამკურნალო თვისებები აქვს. ის მდიდარია პექტინებით, უჯრედისით, სორბიტით, ვიტამინებით, მიკრო და მაკროელემენტებით. მას ახასიათებს საფაღარათო, შარდმდენი და ნაღველმდენი თვისებები.შავ ქლიავს იყენებენ ქრონიკული შეკრულობის, ქოლეცისტიტის, ნაღველკენჭოვანი დაავადებების დროს.

ანემიის დროს განსაკუთრებით ეფექტურია ქლიავის ახალგამოწურული წვენის მიღება, რადგან ის დიდი რაოდენობით რკინას, მარილებსა და ასკორბინის მჟავას შეიცავს და სწორედ ამითაა განპირობებული მისი სისხლწარმომქმნელი სტიმულაცია.

ქლიავის ჭამა, ასევე, კარგია მაღალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტის, კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების დროსაც. ის ანეიტრალებს კუჭის წვენს და ბაქტერიოციდულად მოქმედებს ლორწოვანზე.

შავი ქლიავი, ფიტონოციდების შემცველობის წყალობით, გამოირჩევა ბაქტერიოციდული თვისებებით და ახასიათებს მადეზინფიცირებელი მოქმედება არა მარტო კუჭ-ნაწლავის, არამედ პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებების დროსაც. შავი ქლიავი ორგანიზმის საუკეთესო გამწმენდია. ის გამოდევნის მავნე ნივთიერებებს, მაგალითად, ქოლესტერინს, კანცეროგენებს, მძიმე ლითონების შემცველ მარილებს. ამიტომ, ის აუცილებლად უნდა მიირთვას მოწამლულმა ადამიანმა.

ორგანიზმის გაჯანსაღებისა და სიმსივნური დაავადების პროფილაქტიკისთვის ორი კვირის განმავლობაში მიირთვით ერთი ჩაის ჭიქა გატარებული ქლიავისა და ერთი კოვზი თაფლის ნარევი.

ქლიავის ჭამა არ არის სასურველი შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ან ჭარბი წონის მქონე პირებისთვის, რადგან ის დიდი რაოდენობით შეიცავს გლუკოზას.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

ნაზარბაევი პუტინის და პოროშენკოს შუამავალი გახდა

შედგა ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევისა და რუსეთის ლიდერ ვლადიმერ პუტინის სატელეფონო საუბარი. საუბარი რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებს შეეხო, რომლებიც უკანასკნელ ხანს მკვეთრად გართულდა.

ნაზარბაევი დსთ-ს სივრცეში ერთადერთი პოლიტიკოსია, რომელსაც ვლადიმერ პუტინთან მეგობრული ურთიერთობები გააჩნია. პეტრო პოროშენკომაც მასზე შეაჩერა არჩევანი. ნაზარბაევი პუტინ-პოროშენკოს შორის შუამავალი გახდა.

უკრაინის პრეზიდენტი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ, უმძიმესი ეკონომიკური ვითარება, მეორე მხრივ, გაჭიანურებული ომი დონბასში, რომლის დასრულების გარეშე რეფორმებზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

ყაზახეთის პრეზიდენტმა თავის რუს კოლეგას აცნობა, რომ პოროშენკო დონბასის საკითხში კომპრომისისთვის მზადაა, თუმცა არსებობს ხელშემშლელი ფაქტორი – პარლამენტი. ნაზარბაევმა ხაზი გაუსვა, რომ უკრაინის პარლამენტში ძლიერია ე.წ. „ომის პარტიის“ გავლენა. მას განეკუთვნებიან პარლამენტის სპიკერი პარუბიი, შს მინისტრი ავაკოვი, უშიშროების საბჭოს მდივანი ტურჩინოვი.

– ძალთა არსებული განლაგების პირობებში უკრაინის პრეზიდენტის შესაძლებლობები შეზღუდულია, – თქვა ნაზარბაევმა.

პუტინის და ნაზარბაევის საუბრის გასაჯაროებამ უკრაინაში აჟიოტაჟი გამოიწვია.

ზოგმა ექსპერტმა დაიწყო მტკიცება, რომ პოროშენკო აწყობს შეთქმულებას პარლამენტის წინააღმდეგ და პუტინთან კავშირებს ეძებს. როგორც ჩანს, პოროშენკო და მისი გარემოცვა ინფორმაციის გაჟონვამ შეაშფოთა.

– დონბასის დაბრუნების ერთადერთი გზა არსებობს: რეფორმები და მინსკის შეთანხმებების ბოლომდე შესრულება, რაც რეგიონიდან რუსული არმიის გაყვანას ნიშნავს, – თქვა ვიცე-პრემიერმა ზუბკომ.

მისი აზრით, დონბასისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების საკითხი დღის წესრიგში აღარ დგას. ახლა ლაპარაკია ადგილობრივი თვითმმართველობის თავისებურებებზე. უკრაინა მზადაა, ამაზე წავიდეს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა შეწყდება სროლა, მოხდება ტერიტორიის განაღმვა, ხოლო რუსეთის არმია რეგიონს დატოვებს.

ექსპერტი ვლადიმერ ფისენკო მიიჩნევს, რომ მინსკის შეთანხმებები უკრაინისთვის საზიანოა. ამავე დროს, უკრაინა მასზე ხელაღებით უარს ვერ იტყვის, რადგან ამას დასავლეთში უაღრესად ნეგატიური რეაქცია მოჰყვება. ფისენკოს აზრით, უკრაინის პოლიტიკა უნდა იყოს შემდეგი: თანახმა ვართ მინსკის შეთანხმებების განხორციელებაზე, ოღონდ მხოლოდ მას შემდეგ, როცა დონბასს რუსული არმია დატოვებს, შეწყდება სროლები და ნორმალური საარჩევნო გარემო შეიქმნება.

– ეს საშუალებას მოგვცემს, მოვიგოთ დრო, კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი შეიარაღებული ძალები და დაველოდოთ აშშ-ში პრეზიდენტის შეცვლას, რაც საერთაშორისო ვითარების ძირეულ ცვლილებას გამოიწვევს, – თვლის ფისენკო.

ყაზახეთის პრეზიდენტის შუამავლობით პუტინი კმაყოფილი დარჩა. მან ნაზარბაევს მადლობა გადაუხადა და შეჰპირდა, რომ რუსეთსა და ყაზახეთს შორის საქონელბრუნვა უახლოეს მომავალში გაიზრდება.

ყირიმის მილიტარიზაცია საშიშ ფორმებს იღებს

უკრაინის დაზვერვის ცნობით, გრძელდება ყირიმში რუსული სამხედრო ტექნიკის შემოტანა. სახეზეა მცდელობა, გადააქციონ ყირიმი სამხედრო ბაზად.

რუსებმა ყირიმში შეიტანეს ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის დანადგარები, საბრძოლო ავიაცია. გაძლიერებულია ნახევარკუნძულზე დისლოცირებული რუსული წყალქვეშა ფლოტიც. მიმდინარეობს ყირიმის სამხედრო ბაზად გადაქცევის ინტენსიური პროცესი

– ყოველივე ეს საშიშ ფორმებს იღებს, – აცხადებს უკრაინის სამხედრო დაზვერვის წარმომადგენელი ვადიმ სკიბეცკი.

ჰილარი კლინტონის რეიტინგი იზრდება

ჰილარი კლინტონის რეიტინგი გაიზარდა. ახლა მასა და ტრამპს შორის განსხვავება 12%-ს აღწევს. თვის დასაწყისში ის 10%-ს შეადგენდა.

მისის კლინტონის პოპულარობა გაიზარდა ისეთ შტატებში, როგორებიცაა ნიუ-იორკი, მიჩიგანი, პენსილვანია, ფლორიდა და ა.შ.

ანალიტიკოსები თვლიან, რომ მოვლენების შემდგომ განვითარებაზე დიდ როლს იქონიებენ ტელედებატები. ტრამპი შეეცდება, განსხვავება მაქსიმალურად შეამციროს, მანამდე კი ააგოროს შავი პიარი, რათა ჰილარის რეიტინგი დაბლა დასცეს.

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ თავის დემოკრატ თანაპარტიელებს მოუწოდა, ჰილარი კლინტონს აქტიურად დაეხმარონ.

– ჩვენ უნდა ჩვენი სამუშაო ჩავატაროთ, ახლა ქვეყნის ბედი ამაზეა დამოკიდებული, – თქვა ობამამ.

აშშ-ს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ჰილარი კლინტონის ლიდერობა თვითდამშვიდების საფუძველს არ იძლევა. მეტოქე აქტიურად მოქმედებს. მისის კლინტონის წინააღმდეგ შავი პიარია აგორებული.

– მხარი დაუჭირეთ ჰილარის! გააკეთეთ ყველაფერი, რომ მან გაიმარჯვოს, – განაცხადა ობამამ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

თურქეთში რეპრესიები გრძელდება

თურქეთის პროკურატურამ 120 წამყვანი ბიზნეს-კომპანიის ხელმძღვანელის დაპატიმრების ორდერი გასცა. მათ ოპოზიციონერი მქადაგებლის, გიულენის მხარდაჭერაში ადანაშაულებენ.

დღეისთვის სულ დაპატიმრებულია 35.000 მოქალაქე.

გერმანიის სახელმწიფო მინისტრმა როტმა სინანულით აღნიშნა, რომ თურქეთის ამჟამინდელი ხელისუფლება ევროკავშირის რეკომენდაციებს არ ასრულებს.

– განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სიკვდილით დასჯის აღდგენის სურვილი, – თქვა როტმა.

ამას თურქეთის პრეზიდენტის საინტერესო რეაქცია მოჰყვა.

– ევროპაშიც რომ პუტჩი მომხდარიყო და ხალხი დაღუპულიყო, სიკვდილით დასჯა იქაც აღდგებოდა, – თქვა ერდოღანმა.

ბაიდენი სერბეთში ჩავიდა

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი სერბეთში ჩავიდა. ბელგრადში გამართულ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა:

– აშშ-სა და სერბეთს შორის ახალი ურთიერთობები დაიწყო.

ბაიდენის ვიზიტს ველიკოსერბი შოვინისტების პროტესტი მოჰყვა. ბელგრადში გაიმართა საპროტესტი აქცია. მისი ორგანიზატორი სერბეთის პროფაშისტური რადიკალური პარტია იყო:

– იანკებო, გაეთრიეთ სერბეთიდან! – განაცხადა მიტინგზე სერბი ფაშისტების ლიდერმა ვოისლავ შეშელმა.

განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური

სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186. შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.

ქართული დღე რიოში: ტალახაძე ჩემპიონი რეკორდით გახდა, თურმანიძემ და ბოლქვაძემ ბრინჯაო მოიგეს



11-დღიანი ლოდინის შემდეგ, რიო დე ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ჰიმნი აჟღერდა. ძალოსნობაში პოდიუმზე ერთბაშად ორი ქართველი ავიდა – ლაშა ტალახაძე ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ხოლო ირაკლი თურმანიძემ მე-3 ადგილი დაიკავა.

ქართული სპორტის ისტორიაში მართლაც განსაკუთრებული დღე იყო, რადგან აქამდე ერთხელაც არ მომხდარა, ოლიმპიურ თამაშებზე, სპორტის ინდივიდუალურ სახეობაში მედალი ერთდროულად 2 ქართველს მოეპოვებინოს.

+105 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ტალახაძე ბრაზილიაში ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონის რანგში ჩავიდა და 22 წლის ასაკში ოქროების სრული კოლექცია შეკრა. ამასთან, შთამბეჭდავი მიღწევაც დააფიქსირა. ორჭიდის ჯამში ირანელი რეზა ზადეს მიერ 16 წლის წინ დამყარებული მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა.

საგულისხმოა, რომ ორივე ქართველმა ძალოსანმა ექვსივე ცდა წარმატებით გამოიყენა. თურმანიძემ პირველ მოძრაობაში – ატაცში მე-4 შედეგი აჩვენა. მთავარი ბრძოლა მოლოდინისამებრ, ტალახაძესა და მის უშუალო კონკურენტ ბეჰდად სალიმის შორის გაიმართა.

რადგან ტალახაძე მეტოქეზე მსუბუქი იყო, წონაზე კონტროლი ირანელმა დაიწყო და ტალახაძეზე ერთი კილოგრამით მეტი – 206 შეუკვეთა. სიმძიმე ორივემ ძალიან ადვილად დაიმორჩილა. ორივენ წონა 5-5 კილოგრამით გაზარდა და ისევ წარმატებით დასძლია. მე-3 ცდაზე კი ლაშამ სალიმის მსოფლიო რეკორდს (214 კგ) შეუტია და 1 კილოგრამით გააუმჯობესა. ქართველის მსოფლიო რეკორდმა 1 წუთი გაძლო – ირანელმა 216 კგ აიტაცა.

აკვრაში ირაკლი თურმანიძემ ყველაზე დაბალი საწყისი წონით – 228 კილოგრამით დაიწყო და წარმატებით აჰკრა. ეს წონა მედლისთვის საკმარისი არ იქნებოდა და ამიტომაც შემდეგ წონას შერიოზულად მოუმატა. ქართველმა ჯერ 235 კილოგრამიანი შტანგა ასწია, ხოლო შემდეგ – 241. თუმცა, გორ მინასიანმაც იგივე წონა დაძლია და თურმანიძეს მედლის შანსი თითქმის მოუსპო, რადგან ირაკლის წინ მდგომ რომელიმე ძალოსანს სამივე ცდა უნდა გაეცუდებინა. წინ კი ტალახაძე და სალიმი იყო.

ქართველმა მძიმეწონოსანმა 242 კილოგრამით და წარმატებული ცდით დაიწყო და მეორე ცდისთვის 252-კილოგრამიანი შტანგა შეუკვეთა. ირანელმა კი ყველასთვის მოულოდნელად, ზედიზედ სამჯერ ვერ ასწია 245 კილოგრამი და ტალახაძემ ოლიმპიური ჩემპიონობა ვადაზე ადრე გაინაღდა. ცოტა ხანში სომეხმა რუბენ ალექსანიანმა ვერ დაიმორჩილა ზედიზედ ორჯერ 254-კილოგრამიანი შტანგა და თურმანიძის ბრინჯაოს პრიზიორობაც გაირკვა.

უკვე ჩემპიონის მესამე ცდა სარეკორდო იყო – ტალახაძემ 258-კილოგრამიანი შტანგა შეუკვეთა. ქართველმა მძიმეწონოსანმა მსოფლიოს ახალი რეკორდი ოლიმპიური სიმშვიდით დაამყარა.

ლაშა ტალახაძე:

– ძალიან კარგი რამ მოხდა, მაგრამ გამარჯვებას ჯერ ბოლომდე მაინც ვერ ვაცნობიერებ. გარდა იმისა, რომ ჩემი ოცნება ავისრულე და ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი, კვარცხლბეკზე ჩემს მეგობართან და თანაგუნდელთან – ირაკლი თურმანიძესთან ერთად ავედი. მინდა გითხრათ, რომ ამაზე გაჩერებას არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებ. ყველა დიდ ტურნირზე გამოვალ და მიზანი ყოველთვის უმაღლესი სინჯის მედლის მოპოვება იქნება.

ირაკლი თურმანიძე:

– მეორე ოლიმპიადაზე გამოვედი. ოდნავადაც არ ვნერვიულობდი და ექვსივე ცდის გამოყენება შევძელი. ატაცშიც და აკვრაშიც პირადი რეკორდები გავაუმჯობესე. ვარჯიშების დროსაც, შედარებით დაბალი წონებით ვემზადებოდი. მიხარია, რომ შრომა დამიფასდა.

კახი კახიაშვილი, საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი:

– ამ წარმატებას წინ უძღოდა მთელი რიგი სამუშაოები. ფაქტიურად დაშლილი ფედერაცია ნელ-ნელა ჩავაყენეთ მწყობრში და დღევანდელ გამარჯვებამდე ლოგიკურად, ნაბიჯ-ნაბიჯ მოვედით. ლაშამ და ირაკლიმ თავიანთი შესაძლებლობები გამოიყენეს და 2 მედალი მოვიპოვეთ. ამასთან, ტალახაძემ მსოფლიოს ახალი რეკორდიც დაამყარა ორჭიდში. დარწმუნებული ვარ, უახლოეს ერთ წელიწადში ცალკეულ მოძრაობებშიც გააუმჯობესებს რეკორდებს.

სალიმის მწვრთნელმა საჯად ანუშირავანიმ განაცხადა, რომ ირანელ ძალოსანს ოქროს მედალი მსაჯებმა წაართვეს:

– ეს შეთქმულება იყო, ჟიურიში ჩვენი მტრები ისხდნენ. აშკარაა, რომ სწორედ მათ მოპარეს სალიმის მედალი. მსაჯები განგებ იყვნენ შერჩეულნი, რომ ყველაფერი ასე მომხდარიყო. სალიმი ლონდონის ოლიმპიადის ჩემპიონია. მან რიოშიც მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ძალოსანთა მედლებამდე საქმეში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები შმაგი ბოლქვაძე (66 კგ) და რევაზ ნადარეიშვილი (98 კგ) ჩაებნენ.

შმაგი ბოლქვაძემ შეჯიბრება ფინელი ტერო სეპო ვაელიმაეკის ძლევით (3:0) გახსნა და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტს, 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, ირანელ ომიდ ჰაჯი ნოროზის დაეჭიდა. ლონდონში ნოროზიმ ფინალში რევაზ ლაშხს აჯობა. გუშინწინ კი ქართულ-ირანული დაპირისპირება ბოლქვაძის გამარჯვებით დასრულდა – მან მეტოქის გაფრთხილებების ხარჯზე მიღებული 2 ქულით მოიგო (2:0). ერთი მოგებაც და ქართველი მოჭიდავე ფინალურ ბლოკს ასპროცენტიანი შედეგით შეხვდებოდა, მაგრამ მსაჯის მიერ მიცემული საეჭვო გაფრთხილების შემდეგ პარტერში მეტოქის შეტევას ვერაფერი დაუპირისპირდა და რეპეშაჟის ფინალში გადაერთო. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში ბოლქვაძემ იაპონელ ტომოჰირო ინოეს მინიმალური ანგარიშით სძლია.

შმაგი ბოლქვაძე:

– ეს ოლიმპიადა ჩემთვის პირველი იყო. მართლა ბევრი ვიშრომე, რომ ჯერ აქ მოვხვედრილიყავი, ხოლო შემდეგ ოლიმპიადას კარგ ფორმაში შევხვედროდი. ეს მოვახერხე და მიხარია, რომ მედლით დამიფასდა.

რევაზ ნადარეიშვილს პირველ მეტოქედ მსოფლიოს 2011 წლის ჩემპიონი, გაბულგარელებული ალბანელი ელის გური ერგო. ქართველი მოჭიდავე დრამატულ ბრძოლაში 2:3 დამარცხდა. და ძირითად ბადეს გამოეთიშა. ბრინჯაოს გზა კი ელის გურიმ მეოთხედფინალში დამარცხების შემდეგ ჩაეკეტა.

საქართველო 5 მედლით (1 ოქრო, 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაო) მე-40 ადგილს ეთიოპიის დელეგაციასთან იყოფს.

ხელბურთელთა ნაკრები ისევ დამარცხდა

საქართველო-რუმინეთი 23:35

საქართველო: ხანდოლიშვილი, ხარაიშვილი, ვათიაშვილი; ბულბულაშვილი (8 ბურთი), გოგავა (5), მიქავა (3), რუსტამოვი (3), ცხოვრებაძე (1), ბაინაზიშვილი (1), ხელაძე (1), ლაპიაშვილი (1), ბაჯალაძე, იობაშვილი, ყორიაული, ტიელიძე

რუმინეთი: რუსუ, სტაიკუ; სკარლაცი (7), ანდრეი (7), კაბუცი (5), ბუზლე (4), ალექსანდრუ (3), კერეკი (3), ბროაშკა (2), მიჰაი (2), იონესკუ (1), ნიკულაი (1), დიაკონუ, მიკუ, შუშანუ, ტალმაჩუ

თბილისში, ახალ სპორტის სასახლეში მიმდინარე ევროპის ჭაბუკთა პირველობაზე საქართველოს ნაკრებმა მეორე მატჩი გამართა და რუმინეთთან დამარცხდა – 23:25.

ლუკა ბულბულაშვილისა და სანდრო ხანდოლიშვილის კარგი თამაშის წყალობით საქართველო 4:1 დაწინაურდა. სულ მატჩში, ბულბულაშვილმა მარჯვენა ინსაიდისა და გარემარბის პოზიციიდან 8 გოლი გაიტანა, ხოლო ხანდოლიშვილმა ხუთიდან 3 შვიდმეტრიანი მოიგერია, მაგრამ...

რუმინეთი წინ პირველად მე-17 წუთზე გავიდა ალექსანდრუ ანდრეის დარტყმის შემდეგ, 9:8. სწორედ ეს მონაკვეთი აღმოჩნდა გადამწყვეტი – საქართველოს ნაკრებმა 7 წუთში 7 ბურთი გაუშვა და 8:7 დაწინაურების შემდეგ 8:14 ჩამორჩა. ტაიმი კი რუმინეთმა 18-12 მოიგო.

შესვენების შემდეგ რუმინეთი კიდევ უფრო უკეთესად ათამაშდა და სხვაობა გაზარდა. რუმინელთაგან საუკეთესო მოთამაშის პრიზი ჯორჯე სკარლატმა მიიღო, რომელმაც ქართველებს 7 გოლი გაუტანა, მასპინძელთაგან – ბულბულაშვილმა.

ჩვენივე ჯგუფში ბოსნიამ ლატვიას 36:27 მოუგო. ბ ჯგუფში ბელარუსმა ბრიტანეთს 40:29 აჯობა, ხოლო ჩერნოგორიამ ბელგიას – 19:27

პირველი ორი დღის შემდეგ ბოსნიის, რუმინეთის, ბელარუსისა და ჩერნოგორიის ნაკრებებმა 4-4 ქულა დააგროვეს და ნახევარფინალში ვადამდე გავიდნენ. საქართველო, ლატვია, ბელგია და ბრიტანეთი 5-8 ადგილებისთვის იბრძოლებენ. იქამდე, ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში, დღეს ლატვიას ვეთამაშებით.

ჯგუფური ტურნირი დღეს დასრულდება, ნახევარფინალი 20 აგვისტოსაა. პარალელურად, ლიტვასა და ბულგარეთში მიმდინარეობს ორი ანალოგიური შეჯიბრება, ხოლო ხორვატიაში 16 უძლიერესი გუნდი თამაშობს თვრამეტწლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონობისთვის. საქართველოს, ლიტვისა და ბულგარეთის ტურნირების თითო გამარჯვებული 2018 წლის ოცწლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე 16 უძლიერესს შორის მოხვდება, ხორვატიაში 14-16 ადგილებზე გასულთა ნაცვლად.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

16-17 აგვისტო

ოლიმპიადა

ფეხბურთი

ქალები

ბრაზილია-შვედეთი ..... 0:0(3:4პ)
გერმანია-კანადა 2:0

ჯალათბურთი

ქალები

ავსტრალია-სერბეთი 71:73
ესპანეთი-თურქეთი 64:62
აშშ-იაპონია 110:64
საფრანგეთი-კანადა 68:63

წყალბურთი

კაცები

უნგრეთი-ჩერნოგორია ..... 9:9(2:4პ)
სერბეთი-ესპანეთი 10:7
ბრაზილია-ხორვატია 6:10
საბერძნეთი-იტალია 5:9

ფიენბურთი

ქალები

ს.კორეა-ჰოლანდია 1:3
იაპონია-აშშ 0:3
რუსეთი-სერბეთი 0:3
ბრაზილია-ჩინეთი 2:3

ხელბურთი

ქალები

ბრაზილია-ჰოლანდია 23:32
ესპანეთი-საფრანგეთი ..... 26:27(ოტ)
შვედეთი-ნორვეგია 20:33
რუსეთი-ანგოლა 31:27

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

აიაქსი-როსტოვი 1:1
დინამო(ზ)-ზალცბურგი 1:1
სტიაუა-სიტი 0:5
კოპენჰაგენი-აპოელი 1:0
იანგ ბოიზი-გლადბახი 1:3

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ასტონ ვილა-ჰადერსფილდი 1:1
ბარტონი-უენსდი 3:1
ბრაიტონი-როტერჰემი 3:0
ბრენტფორდი-ნოტინგემი 1:0
ვულვზი-იფსვიჩი 0:0
ლიდსი-ფულემი 1:1
ნორვიჩი-ბრისტოლი 1:0
პრესტონი-დერბი 0:1
უიგანი-ბირმინგემი 1:1

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

კალეიდოსკოპი

მსოფლიოს ქუჩის მოდა მოგზაურის თვალით

სლოვაკმა და ფრანგმა მოგზაურებმა წარმოადგინეს მსოფლიოს ქუჩის მოდის „წარმოუდგენელი“ მრავალფეროვნება. მარცელა მაკაროვამ და მისმა ბოიფრენდმა ფილიპ-ანრიმ თავიანთ პროექტს საფუძველი 2013 წელს ჩაუყარეს. დღეისთვის მათ ასეულობით ფოტოსურათი აქვთ გადაღებული.

თავიანთი მოგზაურობების დროს წყვილი სურათებს უღებდა მათ გარშემო მყოფ ადამიანებს, რათა უკეთესად გასცნობოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლების ჩვეულებსა და კულტურას. თავიანთ პროექტს მათ დაარქვეს „80 სტილის ძიებაში სამყაროს გარშემო“.

მათ კოლექციაში შესულია ფოტოსურათები გადაღებული იაპონიაში, პერუში, ავსტრალიაში, კუბაში, კამბოჯაში, ინდოეთში, ჩინეთში, არგენტინაში, ბოლივიაში, საფრანგეთში, სლოვაკეთში. სურათებზე ყველა სახის ტანსაცმელია წარმოდგენილი.

პარიზის აეროპორტის მგზავრები ყველაზე ელეგანტურებად აღიარეს

ჟურნალმა ვოგმა პარიზის შარლ-დე-გოლის აეროპორტის მგზავრები მსოფლიოში ყველაზე ელეგანტურად აღიარა.

2016 წლის მარტში გავრცელდა ინფორმაცია ფოტოგამოფენის თაობაზე, რომელიც მგზავრების სტილს ეძღვნებოდა და პარიზის მოდის კვირეულს უკავშირდებოდა. ეს იყო კომპანია ეირპორტი დე პარისა და საფრანგეთის დედაქალაქის მერიის ერთობლივი პროექტი. ფოტოსურათების ავტორია ჯონათან პაჩულო.

პაჩულო ეირპორტი დე პარის წინადადებით სამი თვის მანძილზე შარლ-დე-გოლის აეროპორტში მგზავრებს სურათებს უღებდა. მის მიერ გადაღებული ფოტოები პოსტერების სახით იქნა დაბეჭდილი და აეროპორტის ტერიტორიაზე გამოფენილი.

გამოცემა ვოგის წარმომადგენელის თქმით, ფოტოები ამტკიცებენ, რომ ელეგანტური „აეროპორტული“ სტილი ყველასთვის ხელმისაწვდომია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი
18 აგვისტოსთვის

ვერძი – მოსალოდნელია მსხვილი შენაძენი. მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად გაგიუმჯობესდებათ. **კურო** – დღის პირველ ნახევარში წარმატებას მოგიტანთ ხელმძღვანელ პირებთან კონტაქტი, ასევე საქმიან პარტნიორებთან მოლაპარაკებები. კომერციული ოპერაციები სასურველ შედეგს გამოიღებს. **ტყუპები** – ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის დღეა. ყველაფერი კარგად გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – დღეს, შესაძლოა, ისეთი საქმიანი შემოთავაზება მიიღოთ, რომელიც თქვენს ფინანსურ მდგომარეობას მკვეთრად გააუმჯობესებს. ინტუიცია გიმახვილდებათ. **ლომი** – ცრუ დაპირებები არ გასცეთ. ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად მიუდექით. ფრთხილად იყავით, არავინ მოგატყუოთ. **ქალწული** – მოსალოდნელია პრობლემები პირად ცხოვრებაში. კონფლიქტი ახლობელ ადამიანთან დროებითია. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **სასწორი** – ქალებისთვის კარგი პერიოდია მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლე შეინიშნება. **დრიანაქალი** – თავი აარიდეთ კომერციულ საქმიანობას. გარშემომყოფებთან კამათი კატეგორიულად გეკრძალებათ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი კვლავ მაღალ დონეზე გაქვთ. ნებისმიერ საქმეს თამამად მოჰკიდეთ ხელი. საპირისპირო სქესის ყურადღებას გრძნობთ. **თხის რქა** – დღევანდელი დღე გაორებული და წინააღმდეგობებით აღსავსეა. თავს ნუ მოიტყუებთ. **მერწყული** – პასიური და წინააღმდეგობრივი დღეა. მატერიალური მდგომარეობა სტაბილურია. ქალები დათრგუნავთ შიშსა და ეჭვებს. ყველა არასაჭირო კონტაქტისგან თავი შეიკავეთ. **თევზები** – მოსალოდნელია სირთულე პარტნიორთან ურთიერთობაში. ვარსკვლავები ბიზნესის სფეროში აქტიურობას არ გირჩევენ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

დინამო პაოკს უთავდამსხმელოდ ხვდება

დღეს, თბილისის დინამო ევროპალიგის პლეი-ოფის პირველ მატჩში საბერძნეთის პაოკ-ს უმასპინძლებს. მატჩი დინამო არენაზე 20 საათზე დაიწყება.

ქართული კლუბი პრობლემებით ხვდება მატჩს. გუნდი ფაქტობრივად უთავდამსხმელოდ არის. როგორც მოგეხსენებათ, გიორგი ქვილითაია კარიერას ავსტრიულ რაპიდში გააგრძელებს, კლუბის ხელმძღვანელობამ კი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე კონტრაქტი გაწყვიტა ნიკოლოზ გელაშვილთან. ტრავმირებულია ვლადიმერ დვალიშვილი და მისი თამაში პაოკთან კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. გუნდს დარჩა ერთადერთი შემტევი – 18 წლის ბექა მიქელთაძე, რომელსაც არანაირი გამოცდილება არ აქვს და ალბათ იურაი იარაბეკი არც დააყენებს შემადგენლობაში.

ტრავმირებულები არიან დინამოს ლეგიონერებიც – ველევი და სპიჩიჩი. სხვა მხრივ დინამოელთა შემადგენლობაში არანაირ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ.

პრობლემით ჩამოვიდა თბილისში პაოკიც: ტრავმა აწუხებს ანასტასიოს დიმიტრიადისს და დინამოსთან მისი თამაში საეჭვოა. უმნიშვნელო ტრავმები აქვთ ანგოლელ თავდამსხმელ ჯალმას და ბოსნიელ ნახევარმცველ გოიკო ჩიმიროტს, მაგრამ ხვალისთვის სავარაუდოდ შემადგენლობაში იქნებიან.

დინამო ევროთასებზე ბერძნულ კლუბებს აქამდე შვიდჯერ შეხვედრია. ერთი მატჩი ქართულმა გუნდმა მოიგო, 3 ფრედ დასრულდა და სამჯერაც მეტოქემ იმარჯვა. გატანილი და გაშვებული ბურთები კი ბერძენთა სასარგებლოდაა – 5:10.

16 წლამდე ნაკრებმა კარი გაიჯახუნა

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა უძლიერესად ჩაატარა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონის ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი, მაგრამ ეს უკვე დაგვიანებული იყო.

ბუბა ბერიშვილის, მიხეილ ბერუაშვილის და თემურ კანკიას გაწვრთნილმა გუნდმა პლეი ოფში გასასვლელად მებრძოლ სლოვაკეთს ყველაფერში აჯობა და საბოლოოდ 23 ქულით – 84:61 გაანადგურა.

ქართველებს ჯგუფიდან გასვლის შანსი დაკარგული ჰქონდათ, რადგან 4 მატჩიდან მხოლოდ 1 მოგება ჰქონდათ, ხოლო სლოვაკებს მანამდე 3 მატჩი მოეგო და საქართველოს დამარცხების შემთხვევაში ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი ჰქონდა. ბერიშვილის გუნდმა ტურნირზე საუკეთესო მატჩი ჩაატარა და მიუხედავად პირველი პერიოდის 15:16 წაგებისა, მომდევნო მეოთხედებში მეტოქეს აშკარად აჯობა და სლოვაკებს გამანადგურებელი მარცხი აგემა.

სამწუხარო ისაა, რომ ქართველებს ამ მოგებამ პლეი ოფის საგზური ვერ მოუტანა. 2 მოგებითა და 3 მარცხით ბერიშვილის გუნდმა 6-გუნდიან დ ჯგუფში მე-4 ადგილი დაიკავა. ქართველებმა უკან მოიტოვეს ისლანდია, რომელმაც ჯგუფის პირველ ტურში ქართველებს 67:57 სძლია და მას შემდეგ ყველა მატჩი დათმო.

საქართველოს ნაკრებს სლოვაკეთთან აბელ ნარსიამ ულიდერა, რომელმაც 11-დან 10 ორიანი ჩააგდო, 20 ქულა მოაგროვა და ამას 9 მოხსნაც მოაყოლა. ორმაგ დუბლამდე მცირედი დააკლდა გიორგი კვაჭანტირაძესაც, რომელმაც 16 ქულა, 9 მოხსნა, 5 პასი და 4 ჩაჭრა მიითვალა. 15-15 ქულა ჰქონდათ ოთარ პერტაიასა და ირაკლი სულხანიშვილს, რომელმაც პირად ანგარიშზე 7 პასიც ჩაიწერა.

რიოში ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელი დააკავეს

რიო დე ჟანეიროში მიმდინარე 31-ე ოლიმპიურ თამაშებზე სკანდალი აგორდა – დაკავებული იქნა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელი პატრიკ ჰიკი. როგორც ევროპული მედია იტყობინება, ჰიკი ოლიმპიადის ბილეთების გადამყიდველისთვის უკანონო გადაცემაშია ეჭვმიტანილი.

პოლიციის განცხადებით, პატრიკ ჰიკმა, რომელიც ასევე ირლანდიის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელის პოსტს იკავებს, დაკავების დროს ადგილიდან მიმალვაც კი სცადა.

გეტყვით, რომ ევროპის ოლიმპიური კომიტეტები ის საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც 50-მდე ევროპულ ოლიმპიურ კომიტეტს აერთიანებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

რიად მარეზი ლესტერიდან წასვლას არ გამორიცხავს

ლესტერის მაროკოელი ფეხბურთელი რიად მარეზი შარშანდელი სეზონის ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენა გახდა. მისმა შესანიშნავმა თამაშმა ბევრი გრანდის ყურადღება მიიპყრო, მაგრამ მარეზმა ლესტერში დარჩენა ამჯობინა.

რამდენიმე დღის წინ მაროკოელმა შემტევმა განაცხადა, რომ ევროპაში არის რამდენიმე გუნდი, რომელთა გამოც ის მზად არის, ლესტერიდან წავიდეს, თუმცა მას ამ კლუბების ვინაობა არ დაუკონკრეტებია.

მარეზმა ასევე თქვა, რომ წლევანდელი სეზონი მისი გუნდისთვის ძალიან რთული იქნება, რადგან მათ წინააღმდეგ ყველა თავისი საუკეთესო თამაშის ჩვენებას შეეცდება.

ფაბრეგასის ყიდვა არავის სურს

ინგლისურ პრესაში საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა ჩელსის ესპანელ ნახევარმცველ სესკ ფაბრეგასზე. ჩელსის ახალ მწვრთნელ ანტონიო კონტეს ფაბრეგასის გაყიდვა სურს, მაგრამ ამას ვერ ახერხებს, რადგან ესპანელის შეძენა არცერთ ძლიერ გუნდს არ სურს.

არავინ იცის, რამდენად მართალია ეს, მაგრამ ფაბრეგასმა პრემიერლიგის პირველი ტურის შეხვედრა გამოტოვა და კონტეს ის ცვლილებაზეც არ შემოუყვანია.

ადრე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფაბრეგასით რეალი დაინტერესდა, მაგრამ ეს თვითონ რეალის წარმომადგენლებმა უარყვეს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუვენტუსი ბლეზ მატუიდით გაძლიერდება

მას შემდეგ, რაც ტურინის იუვენტუსი პოლ პოგბამ დატოვა, ტურინელები მის შემცვლელს ეძებენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იუვემ უკვე შეათანხმა კონტრაქტის პირობები ბლეზ მატუიდისთან, რომელიც ამუამად პსჟ-ს ღირსებას იცავს. მატუიდი კონტრაქტს ხელს უახლოეს დღეებში მოაწერს, თუმცა სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

იუვენტუსმა წლევანდელ სატრანსფერო ბაზარზე რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელა და სავარაუდოდ მომავალ სეზონში ტურინელები მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებენ.

იტალიის ჩემპიონატი სტარტს 20 აგვისტოს აიღებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. კარატისტის ოსტატობის ხარისხის მაჩვენებელი; 2. აგატა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 3. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო გაერთიანება; 5. სვან მამაკაცთა ცეკვა; 6. მოძღვრება რელიგიის შესახებ; 9. წყალბადის იზოტოპი „მძიმე წყალი“; 10. აშშ-ში მოღვაწე ქართველი ბალეტმეისტერი; 11. ჩინურ-იაპონური დამწერლობის გრაფიკული ნიშანი; 14. აფრიკული ანტილოპა; 16. მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 18. აუქციონი „კრისტის“ მფლობელი.

თარაზულად: 1. უკრაინის ფეხბურთელთა გუნდი; 4. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ტყიბულის მახლობლად; 7. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 8. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 12. ღეშისმჭამელი აფრიკული ცხოველი; 13. კანის ანთებითი დაავადება; 15. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 17. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 19. სისხლის თეთრი ბურთულაკები; 20. უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი; 21. ამერიკული ეკონომიკურ-პოლიტიკური ჟურნალი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კიბუცი; 2. თუნი; 3. ჩატურანგა; 4. ფლეში; 5. კონდორი; 8. დუქანი; 9. მიხაილოვო; 12. რუტერი; 14. რინიტი; 16. ალილო.

თარაზულად: 1. კართოტეკა; 6. ვატერლოო; 7. ბაიდენი; 9. მედუზა; 10. ფინო; 11. კარწახი; 13. დირსი; 15. ტუნიკა; 17. თარხანი; 18. ველენი; 19. ბასტია; 20. ბომონდი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. გალო; 2. აქატი; 3. ცეისი; 5. სონეტი; 6. ჯარგვალი; 9. ციმაკურიძე; 10. ფიუმიჩინო; 11. ნოვარტისი; 14. სკა; 16. ოსტანი; 18. იგლუ.

თარაზულად: 1. გუთანი; 4. ფასკუნჯი; 7. ღალატი; 8. სვანეთი; 12. ომარი; 13. ისრიმი; 15. ემისია; 17. ბრა; 19. კრიპტოგრამა; 20. ზესხო; 21. სურამი.

კულტურა

ავარიას სამტრედიის გზაზე ჯგუფ „არგოს“ წევრი ემსხვერპლა

სამტრედიის გზაზე, სოფელ დაფნართან მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ჯგუფ „არგოს“ ერთ-ერთი წევრი შაკო კაცაძე ემსხვერპლა. მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების შეჯახებამ სამი ახალგაზრდა შეიწირა.

ჯგუფ „არგოს“ მომღერალთან ერთად დაიღუპნენ მისი 16 წლის ბიძაშვილი გიგი კაცაძე და მანქანაში მჯდომი კიდევ ერთი ახალგაზრდა.

მომხდართან დაკავშირებით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ნინო ცქიტიშვილი დედა მეოთხედ გახდა

მოდელი ნინო ცქიტიშვილი დედა მეოთხედ გახდა. ის და მისი კალათბურთელი მეუღლე ვატო ნაცვლიშვილი ბი-

ჭის მშობლები გახდნენ. 17 წლიანი ქორწინების მანძილზე, მათ სამი შვილი, ორი გოგონა თაკო და ანა და ერთი ბიჭი გუგა ჰყავდათ, ახლა კი მათ კიდევ ერთი პატარა ვაჟკაცი გაუჩნდათ. მშობლებმა ახალშობილს ანდრია დაარქვეს. დედაშვილი თავს კარგად გრძნობს. ნინო ცქიტიშვილი და ვატო ნაცვლიშვილი უამრავ მილოცვას და საუკეთესო სურვილებს იღებენ.

კინომსახიობთა თეატრმა ედინბურგის ფესტივალზე „ტრამვაი სურვილი“ აჩვენა

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრმა ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალზე რეჟისორ ქეთი დოლიძის ერთ-ერთი ბოლო სპექტაკლი „ტრამვაი სურვილი“ ჩაიტანა.

სპექტაკლის ბრიტანული პრემიერა ედინბურგის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე შედგა. „ტრამვაი სურვილი“ ქეთი დოლიძემ ტენესი უილიამსის ნაწარმოების მიხედვით დადგა. ერთმოქმედებიანი სპექტაკლისთვის პიესა მანანა ანთაძემ თარგმნა. სპექტაკლში მონაწილეობენ ნინელი ჭანკვეტაძე, ირინა გიუნაშვილი, იმედა არაბული, ვანო დუგლაძე, თემურ გვალია, ქეთი ასათიანი, გუგა კახიანი, ცოტნე მეტონიძე, თამუნა ბუაჩიძე და ილია ჭეიშვილი.

სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა და მიწვევებიც მრავლად მიიღო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ციყვმა რომანტიკული „ფოტოსესია“ გააფუჭა

კანადის ეროვნულ პარკ ბანფში ციყვმა რომანტიკული ფოტოსესია „გააფუჭა“. ედმონტონელ კელინ ფლენგანსა და სპენსერ ტაუბნერს სურდათ სურათები თავიანთი ნიშნობის აღსანიშნავად გადაეღოთ, მაგრამ მთელი ყურადღება საკუთარ თავზე ბუნებრივი კომპლექსის ბინადარმა გადაიტანა.

წყვილის თქმით, მათ მოძებნეს ადგილი ფოტოსესიისთვის და მზადება დაიწყეს, ამ დროს კი ირგვლივ რამდენიმე ციყვი დახტოდა. ერთ-ერთი მათგანი კი ტურისტებთან საკმაოდ ახლოს მიდიოდა.

ფლენგანის თქმით, ის ტაუბნერთან ცდილობდა ფოკუსირება იმაზე მოეხდინათ, რომ მშვენიერი რომანტიკული ფოტო გამოსვლოდათ და ამ დროს კადრში ციყვი შეიჭრა. კანადელმა „ფოტობომბერს“ მეტად ექსპრესიული უწოდა.

– ჩვენ, უბრალოდ, სიცილს ვეღარ ვიკავებდით, – დაამატა მან.

გერმანელმა ბორტგამცილებელმა არგენტინაში ძაღლი შეიფარა

გერმანელმა ბორტგამცილებელმა ოლივია ეივერსმა შეიფარა უსახლკარო ძაღლი, რომელიც ერთგულად ელოდებოდა მას არგენტინაში.

ეივერსი გერმანიაში ცხოვრობს და სამსახურიდან გამომდინარე, ის რეგულარულად დაფრინავს ბუენოს-აირესში. მიმდინარე წელს, არგენტინის დედაქალაქში ერთ-ერთი მორიგი ასეთი ჩაფრენის დროს, ბორტგამცილებელმა უპატრონო ძაღლის ყურადღება მიიპყრო.

ის ქალს ყველგან დაჰყვებოდა. ეივერსის თქმით, მას არ სურდა, რომ ძაღლი მას შესჩვეოდა, მაგრამ საბოლოოდ ის მას მაინც დაუახლოვდა, ეთამაშებოდა და კვებავდა.

ბუენოს-აირესში ყოველი ვიზიტის დროს ძაღლი ბორტგამცილებელს პოულობდა. მაგალითად, სასტუმროს მახლობლად. ბოლოს და ბოლოს, ეივერსმა გადაწყვიტა აეყვანა ძაღლი, რომელსაც რუბიო დაარქვა.

გოგონამ ძაღლის არგენტინიდან გერმანიაში ტრანსპორტირებაზე განცხადება შეიტანა. ასე რომ, ახლა რუბიო ეივერსთან და მის ორ სხვა ძაღლთან ერთად ცხოვრობს.

ოჯახმა ოთხი წლის გოგონა პუმას თავდასხმისგან იხსნა

ამერიკის აიდაჰოს შტატში ოჯახმა მოახერხა გადაერჩინა ოთხი წლის გოგონა, სახელად კელსი, რომლის მოტაცებასაც პუმა ცდილობდა. ინციდენტი ღამით ქალაქ რეკსბერგისკენ მიმავალ გზაზე, ტყეში დასვენების დროს მოხდა.

გოგონა თავის დედა კერისა და ნათესავებთან ერთად კარვების ბანაკში იმყოფებოდა. როგორც პრესის წარმომადგენლებს გოგონას პაპამ განუცხადა, გოგონა კარვიდან დაკარგული ფეხსაცმლის მოსაძებნად გამოვიდა და სწორედ ამ დროს ის პუმამ დაიჭირა და შეეცადა ტყისკენ წაეთრია.

ბავშვის ყვირილის ხმაზე ოჯახის წევრები კარვიდან გამოცვივდნენ, დედა ბავშვისკენ გაიქცა, მტაცებელმა კი ბავშვი მიატოვა და გაიქცა.

– მტაცებელმა კელსი ძირს დააგდო, გადაატრიალა და ზევიდან დააცხრა, – დაწერა საკუთარ ბლოგში გოგონას ბებიამ, რომელიც ასევე გახდა შემთხვევის თვითმხილველი. ქალმა ისიც აღნიშნა, რომ სავარაუდოდ, პუმა 40 კილოგრამის წონის იქნებოდა, მაშინ როდესაც, მისი შვილიშვილის წონა 16 კილოგრამს არ აღემატება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გოგონას სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, ის მიღებული ტრავმების შემდეგ გამოჯანმრთელების გზაზეა.

სამხრეთკორეელებმა თავები პროტესტის ნიშნად გადაიხოტრეს

სამხრეთ კორეის პროვინცია კენსან-პუკტოს ქალაქ სონჯუს 900-მდე მცხოვრებმა საპროტესტო აქციის ფარგლებში თავები გადაიხოტრეს, ისინი ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსის განთავსებას ეწინააღმდეგებიან.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პროტესტანტების უმეტესობა ფერმერია, რომლებიც ძირითადად ნესვის მოყვანით არიან დაკავებულები. საერთო ჯამში, საპროტესტო დემონსტრაციის დროს თავი 908 ადამიანმა გადაიპარსა. აქციამ მდუმარედ ჩაიარა, იმ დროს, როდესაც საპროტესტო აქციის ლიდერი კიმ ანი სკანდირებდა ლოზუნგს „არა რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსს!“.

– ეს ჩვენი პროტესტის გამოხატვის ყველაზე მძლავრი საშუალებაა. ჩვენ არ შეგვიძლია უფრო აქტიურად გამოვხატოთ საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულება, – განაცხადა კიმ ანიმ.

ჩინური სოფლის ქალებმა თავი ნუნჩაკოს ფლობის ოსტატობით მოიწონეს

ჩინეთის პროვინცია ფუცზიანის სოფლის მცხოვრებმა ქალებმა გადაიღეს ვიდეორგოლი, რომელშიც ნუნჩაკოს ფლობის ოსტატობის ხელოვნება წარმოაჩინეს. ვიდეორგოლი ფეისბუქში იქნა განთავსებული და ის უკვე 61 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

როგორც ვიდეოსთვის თანდართულ მინაწერშია მითითებული, ჩანაწერში ჩნდება მის ლეი (სრული სახელი მითითებული არ არის), რომელიც დანარჩენ თანასოფლელ ქალებს ავარჯიშებს. ის რამდენიმე ილეთის დემონსტრირებას ახდენს, მაგალითად, თვალებახვეული ნუნჩაკოთი აგდებს ხილს, რომელიც ერთ-ერთ მის თანასოფლელ ქალს თავზე ადევს.

შეგახსენებთ, რომ ნუნჩაკო ცივი იარაღის სახეობას წარმოადგენს, რომელიც ცილინდრული ფორმის ორი ჯოხისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთზე ფოლადის ჯაჭვითაა გადაბმული.

ბრიტანელმა მომავალი ცოლი მამაკაცების ტუალეტში დატოვებული ტელეფონის ნომრით გაიცნო

დიდი ბრიტანეთის ქალაქ გარფორტში მამაკაცმა თავისი მომავალი მეუღლის ტელეფონის ნომერი ადგილობრივ პაბში კაცების ტუალეტში კედელზე დაწერილი აღმოაჩინა. ამის თაობაზე მარკ ელისმა ერთ-ერთ ბრიტანულ გამოცემას უამბო.

დაწესებულების ტუალეტში შესული 51 წლის ელისის ყურადღება, რომელიც სატვირთო მანქანის მძღოლად მუშაობს, მიიპყრო წარწერამ ტელეფონის ნომრით, რომელიც მოუწოდებდა, დაერეკათ ქალისთვის, სახელად დონასთვის. ბრიტანელმა მითითებულ ნომერზე ხუმრობით გააგზავნა შეტყობინება, რის შემდეგაც ნომრის მფლობელთან საუბარი გაგრძელდა. რამდენიმე დღის შემდეგ წყვილი ერთმანეთს პირველად შეხვდა და ერთმანეთი შეუყვარდათ.

– მე უბრალოდ დამაინტერესა, ნამდვილი ადამიანი იყო თუ გამოგონილი, – განმარტა საკუთარი საქციელი ელისმა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, წარწერა პაბის მამაკაცების ტუალეტში დატოვა მამაკაცმა, რომელიც ადრე ხვდებოდა დონას. როდესაც ბრიტანელმა მომავალ მეუღლეს უთხრა, თუ როგორ გაიგო მისი ტელეფონის ნომერი, ქალს მისი შეცვლა მოუხდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პროგრამა

ხუთშაბათი 18 აგვისტო

07.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" **08.00** ან/სერ. "მადაგასკარის პინგვინები" **09.00, 10.10** ოლიმპიადა – "რიო **2016**" **(17.08.2016) 10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "დღე მუზეუმში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენჯო ვებრინე** 14.00 "პირადი ექიმი" **15.00** "ფერმა" **15.30** "სიტყვების თამაში" **16.30** "ოლიმპიური დღიური" **17.00, 20.50** ოლიმპიადა – "რიო **2016**"

08.00, 16.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** დ/ფ "ამფორების გზა" **11.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **12.00** ტ/სერ. "**ვეკას სამი ვარდი**" **13.00** "თოფ გიარი" **14.00** მხ/ფ "**ოდრი ჰეპბერნის თაფგადასავალი**" **16.30** დ/ფ "ბირთვული კატარსტროფა: "იაპონიის ტარგედია" **17.15** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **18.30** ტ/სერ. "**ბედნიწერის აჩრდილი**" **19.30** "ტელებლოგი" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.00** ოლიმპიური დღიური -"ათენიდან ათენამდე" **22.10, 23.30** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **23.00** "ნამდვილი დრო" **00.25** მხ/ფ "**ეასოგრიკი მიმზიდველობა**"

06.00 სერ. "**დახურული სკოლა**" **07.00** სერ. "**ფიცი**" **08.00** სერ. "**თანხმობა**" **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "**ბამბის ველი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ჟუმონგი**" **12.30** სერ. "**სიყვარულის ფაქი**" **3** სერ. **14.40** სერ. "**ფიცი**" **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**აბაბარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ** " **23.00** სერ. "**საარტაკი**" **2**" **5** სერ. **00.00, 02.15, 04.15** მხ/ფ

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 12.30** სერ. "**ბაბრიელა**" **08.45, 09.15** სერ. "**ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები**" **10.15** სერ. "**დინასტია**" **15.55** სერ. "**ქარადი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** გათამაშება - ბსპ **19.15** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.55, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** ქ.მხ/ფ "**კოლხური ბალადა**" **23.00** სერ. "**ხელოვნური ხუნთქვა**" **00.00** ქერის უბანი **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. - "**ეპეტარი**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 0.30** სერ. "**ბრეის ანატომია**" **13.00, 2.30** სერ. "**ძალები**" **15.00** მხ/ფ "**პარი პოტერი და ფენიქსის ორდენი**" **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 21.30** მხ/ფ "**მცდარი მოსახვევი 3 - სასიკვდილოდ განწირული**" **23.15** სერ. "**ამერიკული საშინელებათა ისტორია**"

06.15 სჯანი-რელიგიისა და ფილოსოფიის ურთიერთდამიკიდებულება **06.40** პატერიკი **06.50** დეკორატიული ფლორა იასამანი" **07.05** ქართული ალბომი **07.50** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია "გორის მუზეუმი-ბრინჯაო" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" კოლაჟი. **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** გზა, რომლითაც ვიარე "ლადო ათანელი" **12.10** მხ/ფ "**ამაღლება**". **13.30** საყმაწვილო ენციკლოპედია **14.30** სადღესასწაულო სახარების განმარტება-"ფერიცვალება" **15..05** ღვთის სახლი "ჰერეთი" **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** დ/ფ "პალისტინის სიძველეთა საიდუმლო" **16.20** კონცერტი **17.20** ჩვენი ფონდი "წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის შესახებ" **18.10** დ/ფ "ფიქრები **1921** წლის თებერვალზე" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები "გიგი გეგელია" **20.40** ძილი ნებისა "კოიოტი", "აბა დამაცადე" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე-ფუტკრის ჭეო **22.20** ჩვენი საგანძური "ცნობილ ადამიანთა ფოტოები" **22.30** საუფლონი "ფერიცვალება" **22.45** სადღესასწაულო სახარების განმარტება-"ფერიცვალება" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთსულოვანი ოჯახი "ნოდიები" **23.35** გამოყენებითი ხელოვნება "სპილენძი" **00.30** ფერიცვალება-"ნათელი თაბორისა" **01.25** მხ/ფ "**ანი მწვანე სახურავების მამულიდან**" **4** სერ.

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები"(ფესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ქალთა ჟანიმი**" **10.05** სერ. "**ბაბილანა**" **11.05** "ღამის კონტაქტი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგი

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 აგვისტოსთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3226	ევრო — 2.6183
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0117	100 რუსული რუბლი — 3.6439

ამინდის პროგნოზი 18 აგვისტოსთვის

16 აგვისტოდან

თედორე დოსტოევსკი
ყმაწვილი
ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

19 აგვისტოდან

თედორე დოსტოევსკი
ყმაწვილი
ტომი II

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

გვარდიოლა მანჩესტერ სიტის თამაშით კმაყოფილია

მანჩესტერ სიტი უკვე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზეა. ამის თქმა თამამად შეიძლება მას შემდეგ, რაც ხოსეპ გვარდიოლას გუნდმა რუმინული სტიაუა სტუმრად გაანადგურა ანგარიშით 5:0.

ხუთი გატანილი გოლის გარდა, სერხიო აგუერომ ორი პენალტი ვერ გამოიყენა. მატჩის შემდეგ გვარდიოლა ძალიან კმაყოფილი იყო თავისი ფეხბურთელების გარჯით და მათ მიმართ საქებარ სიტყვებს არ იშურებდა.

– მთლიანად გუნდმა ძალიან კარგი თამაში აჩვენა და მე შედეგზე უფრო მეტად თამაშის ხარისხი მახარებს. მთელი სეზონის მანძილზე თუ ასე გავაგრძელეთ, ბევრ რამეს მივაღწევთ, – განაცხადა გვარდიოლამ.

შემდეგ შეხვედრას მანჩესტერელები სტოკ სიტის წინააღმდეგ ჩაატარებენ.

ჯანო ანანიძემ ტრავმა მოიშუშა

სპარტაკის ქართველმა ლეგიონერმა ჯანო ანანიძემ ტრავმა მოიშუშა და სავარაუდოდ ის სპარტაკის შემდეგ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს. ანანიძეს თქმის კუნთი აწუხებდა, რის გამოც მას მცირე დროით უქმად ყოფნა მოუწია, მაგრამ ამჟამად ჯანო ბოლომდე მზად არის.

ქართველი ფეხბურთელისთვის სეზონი კარგად დაიწყო და ანანიძემ რამდენიმე ლამაზი გოლი გაიტანა, რის შემდეგაც მან სპარტაკის ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი. შემდეგი შეხვედრა სპარტაკს კრასნოდართან აქვს და სავარაუდოდ ჯანო ამ შეხვედრას პირველი წუთებიდან დაიწყებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი ...

ოფიცერმა დილით ჯარისკაცები ხაზზე მოაწყო და კითხულობს:

– წუხელის ვინ გამოთვრა ნაწილში?

არავინ იღებს ხმას. ყველას სუნთქვა აქვს შეკრული, პირიდან სული რომ არ ამოუვიდეთ.

– უკანასკნელად ვკითხულობ, წუხელის ვინ გამოთვრა ნაწილში?!!!

უფროსმა ჯარისკაცებმა ყველაზე უმცროსი მუჯლუგუნით გამოაგდეს მწყობრიდან.

– ასე... რიგითო, შენ ჩემთან ერთად წამოხვალ „პახმელიაზე“ გამოსასვლელად, დანარჩენები კი სირბილით, ათი კილომეტრი სრული საბრძოლო აღჭურვილობით!...

●●●

ქორწილში უცნობ გოგონას ეკითხებიან:

– უკაცრავად, თქვენ სიძის მხრიდან ხართ თუ პატარძლის?

– მე სიძის გოგონა ვარ, გარეშე...

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– ძვირფასო, რას ისურვებ დაბადების დღისთვის?

– ძვირფასო, მინდა კოსმეტოლოგთან წავიდე და სახე გავაწმენდინო.

– ჰოო, ძვირფასო, გამოდის, რომ თუ მკითხავენ, რა გაჩუქე დაბადების დღეზე, უნდა ვუპასუხო, რომ სიფათი გაგილამაზე?!

●●●

სხვადასხვა წლის პრესის ფურცლებიდან:

2016 წელი – „რუსეთის ხელისუფლების რეკომენდაციით მასწავლებლები მასობრივად გადადიან ბიზნესში“.

2036 წელი – „სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე იწვევენ სპეციალისტს, რომელიც გამრავლების ტაბულას ფლობს“. „სამუშაო მენეჯერის ოფისი. ანბანის ცოდნა სავალდებულოა“. „სამსახურში ავიყვანთ ტაჯიკ პროგრამისტებს“.

●●●

ზამთარია, ცივა, რუსი მდინარის პირას ზის და თევზაობს. ამ დროს გვერდით კაცმა ჩაუარა და ეკითხება:

– შენ რა, არ გცივა? ასეთი სიცივეა, შენ კი ქუდიც არ გახურავს.

– გუშინ ქუდით ვიჯექი, დალევა შემომთავაზეს, მე კი ვერ გავიგონე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

18 აგვისტოდან

ჩემი საყვარელი ორეული

ნინო ხარატიშვილი

ნინო ხარატიშვილის „ჩემი საყვარელი ორეული“ მოგვითხრობს რთული ოჯახური ურთიერთობებისა და მტკივნეული სიყვარულის ამაღელვებელ ამბავს. „ჩემი საყვარელი ორეული“ ამაღელვებელი და მომნუსხველი დრამაა, რომელშიც აკრძალული ვნებისა და წარსულისაგან გათავისუფლების მცდელობის მსოფლიო თემებია ასახული. რომანი 2011 წელს დამოუკიდებელი გერმანული გამომცემლობების პრიზით დაჯილდოვდა.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ქართული დღე რიოში: ტალახაძე ჩემპიონი რეკორდით გახდა, თურმანიძემ და ბოლქვაძემ ბრინჯაო მოიგეს



გვ.9

ჯოსვოხდი ↘

შვეულად: 1. თაფლიანი ფიჭა; 2. კომბინაცია პოკერში; 3. ესპანეთის საკალათბურთო ლიგაში მოთამაშე, კლუბ „ანდორას“ ქართველი კალათბურთელი; 4. რომაელი პოეტი „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი“; 5. ჯაშუშის, მაბეზღარას ძველი სახელწოდება; 8. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 9. ფრენის სიმაღლის საზომი ხელსაწყო თვითმფრინავში; 12. მოტოციკლეტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 14. ფრანგი მხატვარი; 16. უბანი თბილისში.

თარაზულად: 1. წითელი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 6. მეცნიერების, ხელოვნების მდიდარი მფარველი; 7. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 9. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 10. კათოლიკური მღვდელთმსახურება; 11. ძველებური სახელურიანი დასაკეცი სათვალე; 13. ვარსკვლავთა კრებულის ძველი ქართული სახელწოდება; 15. უნგრელი ინჟინერი, პოპულარული თავსატეხის შემქმნელი; 17. აზნაურის ტიტული ძველად საფრანგეთში; 18. გამომშრალი, უკურკო გარგარი; 19. ძალიან სწრაფი მუსიკალური ტემპი; 20. ფრანგული თოჯინური თეატრის მთავარი პერსონაჟი.



შეადგინა თ.გოგინაშვილმა